ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი,18 ივნისი, 2018 №142 (7687) ფასი: 50 თეთრი

რუსა ამირეჯიბმა 130-ე სკოლას სასამართლო პროცესი მოუგო

სკოლა მიმი ჩინეკეს 1.000 ლარს გადაუხდის გვ.7

12 ივნისიდან
როს მაკდონალდი
შიში
სერია ნამდვილი დეტექტივი
ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



„ეკა ბესელიასა და სოფო კილაძის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდება“

გვ.4

ემზარ კვიციანი: „ოცნების“ დახურული შეხვედრა ივანიშვილის დავალებით ჩაიწერეს“

კობა დავითაშვილი: „ბანკირები ბახტაძის ლანძღვასა და ბინძურ კამპანიაში უხვად იხდიან“

„ოპოზიციის აქციებს ბანკები და მონოპოლისტები აფინანსებდნენ“

გვ.3

გიორგი გაჩეჩილაძე: „საკითხავია, ვის მასკარადში მონაწილეობს მარგველაშვილი“

გვ.5

რამდენი სამინისტროს გაუქმებას აპირებს ბახტაძე

გვ.2

სამართალი გვ.7

მამია ბითაძის მკვლელობისთვის 1 პირი დააკავეს

თანხის გამოძალვა ბათუმის კლუბებში

შსს-მ 2 პირი დააკავა და 3 პასუხისგებაში მისცა

ინკასატორის ინსცენირებული დაყაჩაღება და დანაშაულში ჩართული ნათესავები

შსს-მ ზაჰესში მომხდარი დანაშაული გახსნა

ეკონომიკა გვ.6

პაატა ბაირახტარი: „ბახტაძეს კვირიკაშვილთან შედარებით პირდაპირი და ხისტი გადაწყვეტილებების მიღება შეუძლია“

სოფლის მეურნეობა მთავრობის მიერ ჩადებულ თანხას ვერ ამართლებს

ხულო-ზარზმის გზის მშენებლობა ჯერ კიდევ არ დაწყებულა

ISSN 1987-9385

5 თურქეთი და აზერბაიჯანი სამოკავშირეო სახელმწიფოს ქმნიან

8 ნიკოლ პაშინიანი პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გადადგომას გეგმავს

2 ვახტანგ ძაბირაძე: „ქართულ ოცნებას“ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ხელს აძლევს“

6 თამბაქოს მოხმარების წესების დარღვევისთვის 93 ფიზიკური და 10 იურიდიული პირი დაჯარიმდა

ვახტანგ ძაბირაძე: „ქართულ ოცნებას“ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ხელს აძლევს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მცირე მთავრობის აუცილებლობაზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, კახა კალაძე აცხადებს, რომ სამინისტროების შემცირებაზე გუნდში მსჯელობენ. ბახტაძემ პირველ განცხადებაში მცირე მთავრობაზე გააკეთა აქცენტი. რამდენად განხორციელდება ეს დანაპირები?

– რა თქმა უნდა, მცირე მთავრობის მომხრე ვარ, მაგრამ, გააჩნია, ვინ რას გულისხმობს ამ ტერმინის ქვეშ და როგორ უყურებს ამ პროცესს. როდესაც მცირე მთავრობაზეა საუბარი, აქ არ იგულისხმება მხოლოდ სამინისტროების შემცირება, დაშლა ან შეერთება, არამედ საუბარი უნდა იყოს მთლიანად სახელმწიფო სტრუქტურების რეორგანიზაციაზე, იგულისხმება მცირე ხელისუფლება როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, რეგიონებში. ეს არის ფუნდამენტური რეფორმა, წინააღმდეგ შემთხვევაში სამინისტროების მექანიკურ შემცირებას თუ შეერთებას არავითარი ეფექტი არ ექნება.

2017 წელსაც მოხდა სამინისტროების შემცირება, მაგრამ ვიცით, რა ეფექტი მივიღეთ, რამდენი დაზოგა ბიუჯეტმა?! თუ რამდენიმე კაცს უნდა უთხრან მინისტრობაზე უარი, ეს არაფერს მოგვცემს ფუნდამენტური თვალსაზრისით, ეს არ იქნება იმ შედეგის მომტანი, რასაც ზოგადად მცირე მთავრობა ჰქვია.

– ბახტაძეს როგორ შეაფასებთ, გახდება ის გუნდის ლიდერი, როგორი პრემიერი შეიძლება იყოს? რას გააკეთებს ის ისეთს, რაც ვერ გააკეთეს ღარიბაშვილმა, კვირიკაშვილმა?

– სიმართლე გითხრათ, რაღაც არაორდინარულს არ ველოდები. რასაკვირველია, წარმატებას ვუსურვებ, მაგრამ, მეეჭვება, ლიდერი გახდეს.

– რატომ?

– „ქართულ ოცნებას“ ერთი შეუცვლელი ლიდერი ჰყავს. ეს არის ბიძინა ივანიშვილი. ამდენად, მეორე ლიდერი როგორ გაჩნდება, რთული სათქმელია. მსგავს სიტუაციაში, როგორც წესი, მეორე ლიდერი ვერ ჩნდება.

მე მაინც მგონია, რომ ივანიშვილის დაბრუნება პოლიტიკაში პარტიის თავმჯდომარის რანგში შუალედური ნაბიჯია. ერთადერთი ადამიანი, რომელიც შეძლებს პროცესები არა მხოლოდ მართოს, არამედ ცუდი მიმართულებით წასული პროცესი შემოატრიალოს, ამის შანსი ჯერ კიდევ არსებობს, მხოლოდ ივანიშვილია. სასწაული ვერ მოხდება და ამ მდგომარეობიდან ქვეყანა ერთ და ორ წელიწადში ვერ გამოვა, მაგრამ რაღაც იმედი გაჩნდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოებაში უიმედობა ისადგურებს, რაც ქვეყნის განვითარებაზეც აისახება.

რატომ არ უნდა ივანიშვილს პრემიერობა, გასაგებია. თუ რეალურად საქმე უნდა აკეთო და არა მაქინაციები აწარმოო, ამ ქვეყანაში პრემიერ-მინისტრობა ადვილი საქმე არ არის. სახიფათოც კია, დაუღალავ შრომაზე რომ აღარაფერი ვთქვა. თუმცა, ეს ასე იყო გუშინაც და გუშინწინაც და, როდესაც პოლიტიკაში აპირებ შესვლას, მაშინ ამ რეალობასაც თვალი უნდა გაუსწორო და მზად უნდა იყოს ამისთვის.

იმ პოსტიდან, რომელსაც დღეს ივანიშვილი იკავებს, შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ვითარების დალაგება პარტიაში, ესეც დროებით, რადგან დიდი ხნით ამას ივანიშვილი ვერ შეძლებს.

– გამორიცხავთ, რომ ახალი მთავრობა ერთგვარად გარდამავალი მთავრობა იყოს და ჩვენ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები მივიღოთ?

– ნამდვილად არ გამორიცხავ. მე, „ქართული ოცნების“ ადგილზე ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე წავიდოდი.

– და რას მოუტანს ეს „ოცნებას“, რამდენად აძლევს ხელს?

– რასაკვირველია, ხელს აძლევს, პირველ რიგში, ახალ ლეგიტიმაციას მოუტანს; მეორე, ორი წლით გაიხანგრძლივებს „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში ყოფნას. დღევანდელ სიტუაციაში, წმინდა პოლიტიკურ ალტერნატივას ვგულისხმობ, „ოცნებას“ ალტერნატივა არ ჰყავს. ორ და სამ თვეში ეს ალტერნატივა ვერ შეიქმნება. საზოგადოებაში კი არის იმედგაცრუება და გულისწყრომა, მაგრამ ეს დიდ საპროტესტო მუხტში არ არის გადაზრდილი – ოღონდ ესენი არა და ვინც გინდა იყოს – ეს განწყობა ჯერ ნამდვილად არ არის. ჯერ საზოგადოება ამ დონეზე არ არის ხელისუფლების მიმართ აგრესიული.

ორ-სამ თვეში ამიტომ ვამბობ, რომ მძლავრი საპროტესტო ტალღა ვერ აგორდება, თუ რაღაც ექსტრაორდინარული არ მოხდა. თუმცა, ისეთი ვითარებაა, რომ ყველაფერია მოსალოდნელი.

მიუხედავად ამისა, „ქართულ ოცნებას“ დღეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ხელს აძლევს. ბევრ რამეს შეცვლის ეს არჩევნები. ოპოზიცია კი ითხოვს ვადამდელ არჩევნებს, მაგრამ მას რას მოუტანს ეს არჩევნები, ვერ გეტყვით.

რამდენი სამინისტროს გაუქმებას აპირებს ბახტაძე

შორენა მარსაგიშვილი

საქართველომ, ახალი მინისტრების გარდა, შესაძლოა ახალი სამინისტროებიც მიიღოს. პრემიერმინისტრობის კანდიდატი მამუკა ბახტაძე ამ მხრივ სერიოზული ცვლილებების გატარებას აპირებს და რამდენიმე სამინისტროს გაუქმებას გეგმავს.

რომელ სამინისტროს მოუწევს სხვასთან შეერთება, ამას ამ კვირაში გავიგებთ. პრემიერობის კანდიდატი ამბობს, რომ საქართველოს მცირე ზომის მთავრობა სჭირდება.

– ჩვენი კონცეფცია არის მცირე მთავრობა, რომელიც გულისხმობს ძალიან მნიშვნელოვან ცვლილებებს. ეს არის, რაც ამ ეტაპზე შემიძლია დაგიდასტუროთ. მიმდინარეობს კონსულტაციები, თუმცა ამოსავალი წერტილია, რომ ჩვენ გვჭირდება მცირე ზომის, მაგრამ, ამავე დროს, ოპერატიული და მოქნილი მთავრობა. ჩვენ გვჭირდება მცირე ზომის მთავრობა, რომელიც, რა თქმა უნდა, გულისხმობს გარკვეული უწყებების გაერთიანებას, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

სამინისტროების შემცირებაზე საუბრობს თბილისის მერი კახა კალაძეც. მისივე ინფორმაციით, მთავრობაში მოსალოდნელ ცვლილებებზე ამ დღეებში გახდება ცნობილი.

– მინისტრთა კაბინეტის დაკომპლექტებაზე გუნდში მსჯელობა დაწყებულია. ძალიან მალე, ხვალ-ზეგ, ცნობილი გახდება საზოგადოებისთვის, თუ ვინ იქნება პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილი. რაც შეეხება სამინისტროების შემცირებას, გუნდში მსჯელობა ამაზეც მიმდინარეობს. ესეც ცნობილი იქნება საზოგადოებისთვის, – აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

სამინისტროების გაერთიანების პროცესი „ქართულმა ოცნებამ“ რამდენიმე თვის წინ დაიწყო. მაშინ ამ პროცესს ენერგეტიკის, სპორტისა და გარემოს დაცვის სამინისტროები შეეწირნენ – ისინი სხვადასხვა სამინისტროს შეუერთეს. ვინ გაიზიარებს ამჯერად ამ უწყებების ბედს, ჯერ უცნობია.

მთავრობაში სერიოზულ ცვლილებებს ელოდება პარლამენტის სპიკერი ირაკლი კობახიძეც. ამასთან, როგორც თავად ამბობს, მისთვის უცნობია, რა მასშტაბის იქნება ეს ცვლილებები.

სპიკერი ვარაუდობს, რომ მთავრობის ფორმირების პროცესი მიმდინარე კვირის ბოლოსთვის დასრულდება.

– მთავრობის ფორმირება პრემიერმინისტრობის კანდიდატის პროგატივაა. ის შეარჩევს მინისტრობის კანდიდატებს. რა თქმა უნდა, ჩვენ გვექნება მასთან კონსულტაციები. სავარაუდოდ, დღეს, ხვალ გვექნება საკმაოდ ინტენსიური კონსულტაციები ამასთან დაკავშირებით და ამის შემდეგ თავად პრემიერმინისტრობის კანდიდატი დაასახელებს, ბუნებრივია, მთავრობის შემადგენლობას, რომელიც იქნება წარდგენილი საქართველოს პარლამენტში. უკვე მიმდინარე კვირაში, სავარაუდოდ, დასრულდება მთავრობის ფორმირების პროცესი, – ამბობს პარლამენტის თავმჯდომარე.

მთავრობაში მოსალოდნელ ცვლილებებზე სხვადასხვა ვერსია სახელდება. ამბობენ, რომ „ოცნების“ ერთი ფრთა დაჟინებით ითხოვს მთავარ პროკურორად კობა ნარჩემაშვილის წარდგენას.

როგორც ამბობენ, ეს საკითხი დღის წესრიგში „ოცნების“ დახურულ შეხვედრაზეც დადგა.

იმ შეხვედრასთან დაკავშირებით ბევრი სკანდალური ინფორმაცია ვრცელდება. ამ ინფორმაციებს თუ დავუჯერებთ, დიმიტრი ქუმსიშვილმა და თეა წულუკიანმა თანამდებობები ვერ უნდა შეინარჩუნონ.

აღსანიშნავია, რომ წულუკიანის გადადგომას სამოქალაქო სექტორიც ითხოვს. ერთ-ერთი ვერსიით, მას იუსტიციის მინისტრის პოსტს დაატოვებინებენ, მაგრამ მთავრობაში დატოვებენ და საგარეო უწყებას ჩააბარებენ.

საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე კიდევ ერთი კანდიდატი მოიაზრება – აშშ-ში საქართველოს ელჩი დავით ბაქრაძე.

„ოცნებასთან“ დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, თითქმის გადაწყვეტილია ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროების გაერთიანება. გაერთიანებულ სამინისტროს სათავეში მაია ცქიტიშვილი უნდა ჩაუდგეს.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, „ოცნებაში“ აქტიურად საუბრობენ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს შერიგების სამინისტროსთან გაერთიანებაზე.

არსებული ინფორმაციით, სერიოზული ცვლილებებია მოსალოდნელი აფხაზეთის მთავრობაშიც.

მიხეილ სააკაშვილი: „ვისაც გვჯერა, გაგვატარეთ! საპრეზიდენტო არჩევნებში აუცილებლად გავიმარჯვებთ“

საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი მმართველი გუნდის რეიტინგს მიუახლოვდა და ზოგიერთ რეგიონში გადაუსწრო კიდეც.

სააკაშვილის თქმით, სხვა ოპოზიციური ძალებთან გაერთიანებით შესაძლებელია, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიციის კანდიდატმა გაიმარჯვოს და ქვეყანაში შესაძლებელი გახდება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაც:

– ყველა გამოკითხვით, საქართველოს დიდ რეგიონებში ნაციონალური მოძრაობა ძალიან მიუახლოვდა ქოცებს, ხოლო სამეგრელოსა და კახეთში გადაუსწრო. სხვა პარტიები ძალიან დასუსტდნენ.

აი, ამაზე ნერვიულობს ივანიშვილი და ამიტომ ჩართო ყველა რესურსი ჩვენ წინააღმდეგ. ჩვენ, სხვა ოპოზიციურ ძალებთან ერთად, აუცილებლად გავიმარჯვებთ საპრეზიდენტო არჩევნებში და დავნიშნავთ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს!

ნიუპოსტი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

კობა დავითაშვილი: „ბანკირები ბახტაძის ლანძღვასა და ბინძურ კამპანიაში უხვად იხდიან“

„ოპოზიციის აქციებს ბანკები და მონოპოლისტები აფინანსებდნენ“

ნონა ცაბაძე

ვინ აფინანსებდა ოპოზიციის მიერ აგორებულ საპროტესტო ტალღას? რატომ დაუპირისპირდნენ მონოპოლისტები ბიძინა ივანიშვილს? ვისი დაკვეთით მიდის მამუკა ბახტაძის ლანძღვა-გინება? „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს კობა დავითაშვილი პასუხობს.

– ბატონო კობა, კვირიკაშვილის წასვლის შემდეგ აქტიურად დაიწყო მის შეცდომებზე საუბარი. რას იტყვით თქვენ, როგორი პრემიერ-მინისტრი იყო გიორგი კვირიკაშვილი?

– მე არ გამხარებია მისი წასვლა. მე არც დიდი სიხარული მესმის მისი წასვლის გამო და არც სამგლოვიაროდ გვაქვს საქმე. ნორმალური პრემიერ-მინისტრი იყო, თვითონ პიროვნება იყო ისეთი, რომ თავის თავში შეიცავდა დადებით თვისებებს, ხოლო თუ რამე ნაკლოვანება იყო, ეს ზოგადი ნაკლოვანებაა მმართველი გუნდის და არა მისი პირადი. მე არა მგონია, რომ მას პირადად შემოეტანოს ნაკლოვანება პოლიტიკაში.

– რატომ გახდა ასე აუცილებელი საპრეზიდენტო არჩევნების წინ ეს ცვლილებები?

– მართალი გითხრათ, მე ვერ დავინახე ამის აუცილებლობა. ძალიან უცნაური იყო ეს ყველაფერი.

– ოპოზიციის ქუჩაში გამოსვლამ დააჩქარა ეს პროცესი? ნაციონალური მოძრაობა იბრალებს, ჩვენ გადავაყენეთ მთავრობაო.

– თავის თავზე დაბრალება მაგათი მეთოდია. ვერაფერს რომ ვერ აღწევენ, რაღაც ხომ უნდა დაიბრალონ. მე არ დამრჩა ეგ შთაბეჭდილება, რომ ქუჩაში ხალხის გამოსვლით იყო კვირიკაშვილის წასვლა განპირობებული.

– მაშინ თქვენ რომელ ვერსიას ემხრობით, რომ მას და ბიძინა ივანიშვილს შორის გაფუჭდა ურთიერთობა?

– არ ვიცი, მე ეს ინფორმაციები არ მაქვს. ამიტომ ვერ ვიმარჩიელებ. არც პროგნოზების კეთება მიყვარს. ეს უმადური საქმეა.

– მამუკა ბახტაძეზე რას იტყვით?

– ბახტაძე საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი ფიგურაა, ახალგაზრდა პოლიტიკოსია, ამიტომ რითაც დაამახსოვრა თავი საზოგადოებას, ეს არის მისი შარშანდელი აქტივობა ფინანსურ სფეროში, რაც მიზნად ისახავდა საბანკო სფეროში საბანკო მონოპოლიების შეზღუდვას და ბანკებისთვის არაპროფილური საქმიანობის აკრძალვას.

– კვირიკაშვილს ამაშიც ადანაშაულებენ, ბანკებს სრული თავისუფლება მისცა და მაქსიმალური უფლებები მიანიჭაო. ასეა? შეძლებს ბახტაძე, დაუპირისპირდეს ასეთ მსხვილ მოთამაშეებს?

– კვირიკაშვილისთვის ამის დაბრალება, არა მგონია, სამართლიანი იყოს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ეს პოლიტიკა, ბანკების ასეთი თავგასულობისა, დამკვიდრდა ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილის დროს. ბანკების კანონმდებლობა, როგორიც ჩვენთან არის, უპრეცედენტოა მსოფლიოში. მთელ მსოფლიოში ბანკებს, საქართველოს გარდა, აკრძალული აქვთ სხვა ბიზნესების ფლობა და მართვა. შემთხვევით არ აქვთ აკრძალული.

– ეს სააკაშვილმა დაუშვა?

– საქართველოში ეს დაუშვა სააკაშვილმა და აგიხსნით, თუ რა სხვაობა მოიტანა ამან.

ვთქვათ, ბანკმა გასცა კრედიტი რომელიმე საცხობზე, საცხობმაც დაიწყო მუშაობა და საქმე კარგად წაუვიდა. მერე ამ საწარმოს რაღაცა შეფერხება მოუვიდა. მთელ მსოფლიოში ბანკი ასეთ დროს ჯდება თავის მევალესთან ერთად და ადგენს ამ შეფერხების გამოსწორების გრაფიკს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ დაინტერესებულია, ჰყავდეს კლიენტი, რომელიც წლების განმავლობაში სტაბილურად უხდიდა მას პროცენტს და პატარა შეფერხების გულისთვის კლიენტს არ დაკარგავს. ბანკი ძალიან სწორად და ლოგიკურად იქცევა. ამისთანა კლიენტებზე ოცნებობენ ბანკები და ერთმანეთს ეჯიბრებიან და ერთმანეთზე უკეთეს პირობებს სთავაზობენ.

– ჩვენთან ასე არ ხდება?

– გეტყვით, რა მოხდება საქართველოში. ჩვენთან ბანკს აქვს საცხობის ფლობის უფლება, ჰოდა, ხედავს ეს ბანკის ხელმძღვანელი, რომ აგერ არის მშვენიერი, კარგი საცხობი, კარგი გასაღება აქვს, უბანში პოპულარობით სარგებლობს. მოკლედ, მოაქვს მოგება. უცებ მოხდა რაღაც და ფეხი გადაუბრუნდა ამ წარმოებას, რა ხდება ამ შემთხვევაში საქართველოში? საქართველოში ბანკი დაინტერესებულია, მაქსიმალურად წიხლი დააჭიროს ამ პატარა წარმოებას და გააკოტროს ხელოვნურად, ჯარიმებით, საურავებით, მოკლედ, არანაირი გასაქანი არ მისცეს და არ ამოასუნთქოს.

– რატომ?

– რომ ხელში ჩაიგდოს ეს საცხობი და ამ საწარმომ გააგრძელოს მომგებიანი საქმიანობა, ოღონდ ბანკის საკეთილდღეოდ! აი, ამიტომ არ აქვს მთელ მსოფლიოში ბანკებს სხვა ბიზნესების ფლობის უფლება. სხვა ქვეყანაში ბანკი დაინტერესებულია კარგი კლიენტის კეთილდღეობით, საქართველოში ბანკი დაინტერესებულია კარგი კლიენტის გაკოტრებით და მისი ბიზნესის ხელში ჩაგდებით. ამაზე თეორიულად კი არ ვსაუბრობ, მაგალითია უამრავი.

– კერძოდ?

– ყველაზე მსხვილ მაგალითს მოვიყვან. საქართველოს ბანკი კარტელურ, მონოპოლიურ გაერთიანებაში იმყოფება სადაზღვევო კომპანია ალდაგთან. ორივე უმსხვილესი მოთამაშეა ბაზარზე. ალდაგიც და საქართველოს ბანკიც. ეს საკითხი უბრალოდ კარგად ვიცი, იმიტომ, რომ ჯანდაცვის საკითხებზე ვმუშაობდი. სააკაშვილს თავიდანვე ასეთი პოლიტიკა ჰქონდა ყველა სფეროში, რომ აძლევდა მონოპოლიურ მდგომარეობას ამა თუ იმ სფეროში, ამ შემთხვევაში სადაზღვევო სფეროში სადაზღვევო კომპანიებს, რომ ეძარცვათ ხალხი, ჩაეგდოთ სხვა კომპანიები ხელში, სანაცვლოდ კი მისთვის გადაეხადათ ხარკი, ანუ სააკაშვილი ხარკს კრეფდა, ეს მონოპოლიები და კარტელური გაერთიანებები სხვებს აკოტრებდნენ. ეს მომგებიანი იყო ორივესთვის.

ბახტაძის პრემიერად დანიშვნა არის სწორედ თავგასული მონოპოლიებისა და ბანკების მიმართ ბიძინა ივანიშვილის გზავნილი! მე ამ გზავნილს მხოლოდ მივესალმები. სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!

– ორივე მხარეს სოლიდური თანხა ხვდებოდა?

– დიახ. მათ ჰქონდათ ისეთი შემოსავალი, რომელიც ნორმალურ ქვეყანაში ვერ ექნებოდათ და ამის სანაცვლოდ უხდებოდათ ხარკის გადახდა სააკაშვილისთვის.

– „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში ამ კუთხით არაფერი შეიცვალა?

– ეს არის მთლიანად „ქართული ოცნების“ პრობლემა და პირველ რიგში ბიძინა ივანიშვილის, რომელსაც მე ძალიან დიდ პატივს ვცემ, რომელმაც ხარკი გაუუქმა ამ მონოპოლიებს, მაგრამ დემონოპოლიზაცია არ მოახდინა.

ფაქტობრივად, ხარჯი ამ მონოპოლიებს შეუმცირდათ, შემოსავალი კი გაეზარდათ. ახლა ამის დაბრალება მხოლოდ კვირიკაშვილისთვის უსამართლობა მგონია. მე მიყვარს სიმართლის თქმა. ეს პოლიტიკა ტარდებოდა ბიძინა ივანიშვილიდან დაწყებული, ღარიბაშვილით გაგრძელებული და კვირიკაშვილით დამთავრებული.

– ახლა ბახტაძემ გადაწყვიტა, რომ ეს მოცემულობა შეცვალოს?

– როგორც ჩანს, თავად ბიძინა ივანიშვილი მიხვდა, რომ ეს იყო შეცდომა. ამაზე იყო საუბარი და მე ყოველთვის ვეუბნებოდი, რომ ჩვენ არ გვინდა ბოლშევიკობა და ვინმესთვის საკუთრების წართმევა, მაგრამ მონოპოლიური მდგომარეობა კი უნდა ჩამოვართვათ-მეთქი.



ჩვენთან როგორც სწრაფად ხდება ფირმის გახსნა, ასევე სწრაფად ხდება მისი ლიკვიდაცია. თუ ბაზარი მონოპოლიზებულია, ახალ ფირმას იქ არავინ შეუშვებს. აზრი არ აქვს ახალი ფირმების შექმნას. თუ რამე მომგებიანი გამოჩნდა, ბანკები მაშინვე აკოტრებენ, რომ ხელში ჩაიგდონ. ამიტომ იცით, რა ხდება ქვეყანაში? ამ ყველაფრის შედეგად სამუშაო ადგილები აღარ იქმნება! ეკონომიკის პრობლემები სწორედ მისი მონოპოლიზაციიდან მოდის, რომელიც სააკაშვილის პერიოდიდან მოგვდგამს და რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ არ შეცვალა.

– რატომ არ შეცვალა? თუ ბიზნესიდან ხარკს აღარ იღებს, მაშინ შეეცვალა არსებული სიტუაციაც.

– გეტყვით. მე ეს ყველაფერი ვიცი ჯანდაცვის სფეროდან გამომდინარე. „ქართულმა ოცნებამ“ რაც გააკეთა მნიშვნელოვანი და კარგი, ეს არის უფასო ჯანდაცვა. ადრე ოპერაცია რომ დასჭირდებოდა ადამიანს, სახლ-კარის გაყიდვა უწევდა ან ბანკიდან ისეთი ვალის აღება, რომელიც გირაოში სახლი იდებოდა. საყოველთაო ჯანდაცვის შემოღებით ეს პრობლემა მოიხსნა. ამ ჯანდაცვის რეფორმის ერთ-ერთი ინიციატორი სწორედ მე ვიყავი და აქტიურად ვმუშაობდი ამაზე. ბოლომდე კმაყოფილი არა ვარ, მაგრამ ის მინიმუმი მაინც გაკეთდა, რომ ხალხი დაზღვეულია გაღატაკებისგან ჯანდაცვის დიდი ხარჯების გამო.

როდესაც მე ბიძინა ივანიშვილს შევხვდი და შევთავაზე, რომ როგორც თქვენ გაქვთ საჩხერის საავადმყოფო, რომელიც უსასყიდლოა საჩხერის მცხოვრებელთათვის, ასე უნდა იყოს მთელ საქართველოში, რადგან მთელ მსოფლიოში არსად არ არის ჯანდაცვა ბიზნესი-მეთქი. მას ეს ძალიან გაუკვირდა, არ იცოდა ამის შესახებ. მან, იცით, რა მითხრა?!

– რა გითხრათ?

– ბატონმა ბიძინამ მითხრა, საჩხერის მსგავსად მინდოდა რესპუბლიკური საავადმყოფოს აღება და უფასო საავადმყოფოს გაკეთებაო. რომ ვკითხე, რატომ არ გააკეთეთ-მეთქი, როდესაც ეს გადავწყვიტე, მოვიდა ჩემთან კახა ბენდუქიძე და მითხრა, შენ რომ მილიარდერი ხარ და ჩვენზე მეტი ფული გაქვს, ჩვენ რას გვიშვრები ამასო. შენ რომ უფასო საავადმყოფო გააკეთო, ჯანდაცვა ბიზნესია და სხვებმა რა დავაშავეთ, ვისაც ამ ბიზნესში გვინდა მოგების მიღებაო.

ივანიშვილმა მითხრა, სწორედ ამის მერე შევიკავე თავიო, ანუ ბიძინა ივანიშვილს აქვს ეთიკის, რაღაცნაირი სოლიდარობის განცდა სხვა ბიზნესმენების მიმართ. არავინ არ დამიჯერებს, მაგრამ მას ერიდება მათი და სხვანაირი თვალით უყურებს ბიზნესმენებს. მას ქვეყნის მარკად, ქვეყნის დედაბოძად და ბურჯად მიაჩნია თითოეული ბიზნესმენი. მცირედან დაწყებული მსხვილით დამთავრებული. ამიტომ მათ შეზღუდვას ერიდება. თეორიულად ესმის, რომ კი, ასე უნდა გაკეთდეს, მაგრამ ვერ გააკეთა ასე. მას სულ სხვა სტანდარტები აქვს.

– რა სტანდარტები?

– ბიძინა ივანიშვილი რუსეთის უმსხვილესი ბანკის მფლობელი იყო. ეს ერთადერთი ბანკია, რომელმაც 1998 წელს, ყველა ბანკი რომ გაკოტრდა, კურსები რომ დაეცა და კოლაფსი მოხდა, სხვა ბანკებივით ის კი არ გამოაცხადა, რა ვქნა ბატონო, აირია ქვეყანა და დაემშვიდობეთ თქვენს ანაბრებსო. ერთადერთი იყო, რომელმაც ყველა მეანაბრე გაისტუმრა! ერთადერთი!

– ამით რის თქმა გსურთ?

– იმის, რომ ბიძინა ივანიშვილი საქართველოში მოღვაწე ბანკირებსაც ასე უყურებდა, რადგან თვითონ კარგი ბანკირი იყო, სხვაც კარგი ეგონა. ამიტომ კოლეგებს არ შეუქმნა პრობლემები, არ შეავიწროვა. მან ჩათვალა, რომ საკმარისია, ჩვენ ხარკი მოვუხსნათ ამ ბიზნესს, რასაც სააკაშვილი კრეფდა და ეს ბიზნესი, როდესაც მას ეს ხარჯები შეუმცირდება, თავისთავად საპროცენტო განაკვეთსაც დასწევს და სულ სხვანაირად მოიქცევა.

მან ვერ გაითვალისწინა ერთი ფაქტორი, რომ არ არიან ეს ბანკირები წესიერი და სინდისიერი მოქალაქეები. ამ ბანკირებს სააკაშვილის პირობებში ურჩევნიათ ცხოვრება, ხარკს რომ იხდიდნენ. სამაგიეროდ, წართმევის უფლება ჰქონდათ. დღევანდელი ხელისუფლება არ უჭერს ბანკებს მხარს სხვა ბიზნესების ჩაყლაპვაში. ამიტომ დაფიქრდნენ ეს ბანკირები და ფიქრობენ, მიშას დრო ჯობდაო. ხარკი გვქონდა, მაგრამ შემოსავალი გაცილებით მეტი გვქონდაო. ამიტომ ბანკებმა გადაწყვიტეს, რომ არ აწყობთ ბიძინას მმართველობა.

– ამით რის თქმა გსურთ, ბატონო კობა, საით მიანიშნებთ?

– იქით, რომ ამ აქციების აგორების დაფინანსების უკან ეს მონოპოლიები და ბანკები იდგნენ. არაფერი იმალება, გამოჟონა ამ ინფორმაციამ.

– ანუ მათი მიზანი ივანიშვილის ხელისუფლების ცვლილება იყო?

– რა თქმა უნდა. კიდევ ერთხელ ვამბობ, მათ აწყობთ სააკაშვილის ხელისუფლებაში დაბრუნება. მის პირობებში გაცილებით მეტი შემოსავალი აქვთ.

– ანუ ბახტაძის მკაცრი განცხადებები არ მოეწონათ?

– ბახტაძე დამოუკიდებელი ფიგურა ხომ არ არის. ის მოიყვანა და მთავრობაში დასვა ბიძინა ივანიშვილმა, ანუ ივანიშვილმა მიიღო ეს გადაწყვეტილება ბანკებთან დაკავშირებით. სწორედ ის ასწორებს იმ შეცდომას, რომელიც თავადვე დაუშვა. ბახტაძის პრემიერად დანიშვნა არის სწორედ თავგასული მონოპოლიებისა და ბანკების მიმართ ბიძინა ივანიშვილის გზავნილი! მე ამ გზავნილს მხოლოდ მივესალმები. სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!

– მონოპოლიებმაც ეს საფრთხე დაინახეს და ივანიშვილს დაუპირისპირდნენ?

– რა თქმა უნდა! ბახტაძეზე განხორციელებული იერიშებიც, ეს ცილისწამების კორიანტელი, შეურაცხყოფის კორიანტელი აქედან გამომდინარეობს. მე არ მახსოვს არც ერთ პრემიერზე ასეთი შეტევა!

– ძალიან ბინძური კამპანია წამოვიდა ბახტაძის წინააღმდეგ.

– ჭორები და ბინძური კამპანია ძალიან კარგად არის დაფინანსებული. ამაში უხვად იხდიან ეს მონოპოლისტები და ბანკირები, იმის ლანძღვაში, ვისაც თავად მტრად მიიჩნევენ. მე რადგან ვხედავ, რომ ისინი ბახტაძის ლანძღვაში უხვად იხდიან, ამიტომ გამიჩნდა ძალიან დიდი სურვილი, გვერდში დავუდგე ბატონ ბახტაძეს მათთან ბრძოლაში.

ნაციმოძრაობა ოზურგეთის მერიისა და პოლიციის შენობებთან საპროტესტო აქციებს გამართავს

ოზურგეთის საკრებულოში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრ დავით მჟავანაძის განცხადებით, დღეს, 18 ივნისს, ოზურგეთის მერიისა და პოლიციის შენობებთან საპროტესტო აქციები გაიმართება.

როგორც დავით მჟავანაძემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა, აქციის მონაწილეები საკრებულოს წევრ ბესო ქათამაძეზე განხორციელებულ ძალადობას გააპროტესტებენ.

– ჩვენ ვამბობთ, რომ ჯგუფური, ორგანიზებული დანაშაული მოხდა. ამ ყველაფრის უკან ოზურგეთის გუბერნატორი და მაღალი თანამდებობის პირები დგანან. იმ ადამიანებს, რომლებიც ბესო ქათამაძეს თავს დაესხნენ, ყველაფერი წინასწარ ჰქონდათ დაგეგმილი. ამ პირებმა რამდენიმე დღის წინაც სცადეს ბესო ქათამაძეზე თავდასხმა, თუმცა არ გამოუვიდათ. მოვითხოვთ მუხლის გადაკვალიფიცირებას. თავდამსხმელებმა საკრებულოს მანდატები უნდა დატოვონ. ეს დეპუტატისთვის შეუფერებელი და უღირსი საქციელია, – განაცხადა დავით მჟავანაძემ.

ნაციონალური მოძრაობის განცხადებით, 15 ივნისს მათი პარტიის წევრ ბესიკ ქათამაძეს „ქართული ოცნების“ წევრები ფიზიკურად გაუსწორდნენ.

მომხდარ ფაქტზე ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ „ქართული ოცნების“ წევრ ტარიელ არაშიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით 5.000-ლარიანი გირაო შეუფარდა.

„ეკა ბესელიასა და სოფო კილაძის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდება“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ უნდა მოეხსნას გიგა ბოკერიას დეპუტატის იმუნიტეტი, ვინ უნდა გაიზიაროს მირზა სუბელიანის ბედი, რატომ არ უნდა ითანამშრომლოს პროკურატურამ დროებით საპარლამენტო კომისიასთან, ვინ ცდილობს ეკა ბესელიასა და სოფო კილაძის ჩაძირვას, რაზე ჩივიან მმართველი პარტიის დეპუტატები, ვისი დავალებით ჩაიწერეს „ოცნების“ დახურული შეხვედრა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ემზარ კვიციანი ესაუბრება.

– პატრიოტთა ალიანსმა პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიას უნდობლობა გამოუცხადა. თქვენ პროკურატურასაც მოუწოდეთ, რომ ამ კომისიასთან არ ითანამშრომლოს.

– ჩვენმა პარტიამ ძალიან ობიექტური გადაწყვეტილება მიიღო და გიგა ბოკერიას კომისიას უნდობლობა გამოუცხადა. თქვენ ის უნდა გაგაკვირვებოდათ, პატრიოტთა ალიანსს ამ კომისიაში რომ ემუშავა.

– თქვენი პოზიცია გასაგებია, რომ არ ენდობით ამ კომისიას, მაგრამ პროკურატურამ რატომ არ უნდა ითანამშრომლოს ამ კომისიასთან. კომისიაში სხვა დეპუტატებიც ხომ შედიან?

– სხვა დეპუტატებიც შედიან. მათ შორის არის ადეიშვილის ნდობით აღჭურვილი პირი ოთო კახიძე. ადეიშვილი ხომ საშინელი ვინმე იყო, მაგრამ მასზე სადისტიაო, არავის უთქვამს, სამაგიეროდ, კახიძეზე ამბობენ ამას. ანდა თქმა რა საჭიროა, როგორც კი შეხედავ, ხვდები, რომ სადისტთან გაქვს საქმე.

– მე არ ვიცი, თქვენ რა იცით მისი სადისტობის შესახებ, მაგრამ, რომ შეხედავ, ამ ადამიანს მოძალადის არაფერი ეტყობა.

– ჩუმად როცა არის, მაშინ არ ეტყობა დიდად, მაგრამ მაშინ უნდა დააკვირდეთ, როცა ლაპარაკობს. ლაპარაკიდან ეტყობა, რომ სადისტია და თანაც – სისხლისმსმელი.

როცა კომისიაში კახიძე და ბოკერია არიან, იქ სიმართლე არ დადგინდება. ამიტომაც მოვუწოდებ და ვთხოვ პროკურატურას, არავითარ შემთხვევაში არ ითანამშრომლოს ამათთან. სიმართლის დადგენა სხვა გზებითაც შეიძლება.

– რა გზებით?

– ხორავას ქუჩაზე მომხდარ საშინელ მკვლელობას შსს იძიებს ხელახლა. პროკურატურამ მის ხელთ არსებული მასალები გიორგი გახარიას უწყებას უნდა მიუტანოს და არა – სისხლში გასვრილ კახიძე-ბოკერიას. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ამ კომისიის მიზანი სიმართლის დადგენა არ არის.

– თუ მიზანი სიმართლის დადგენა არ არის, რატომ დაუჭირა მის შექმნას უმრავლესობამ მხარი?

– უმრავლესობის უმრავლესობას ამის გაკეთება არ სურდა. მათი ნება რომ ყოფილიყო, სხვა გადაწყვეტილებას მიიღებდნენ. ისინი სხვისი მითითებით მოქმედებენ და ამიტომაც მიიღეს ეს გადაწყვეტილება.

– ამ შემთხვევაში ვისი მითითებით იმოქმედეს, ირაკლი კობახიძის?

– ირაკლი კობახიძეც სხვის მითითებებს ასრულებს. „ოცნების“ საპარლამენტო ფრთამ ზემდგომის დავალება შეასრულა. იმას რაში სჭირდებოდა ბოკერიას ჩართვა კომისიაში, არ ვიცი. ეს ისევე არ მესმის, როგორც იმას ვერ გავიგებ, რა საჭირო იყო ნაცებთან კოაბიტაცია.

ამ კოაბიტაციის გამო უამრავი დამნაშავე დარჩა დაუსჯელი. ისინი თავისუფლად დადიან, პატიოსან ადამიანებს ცხოვრებას უმწარებენ და ნერვებს უშლიან. სააკაშვილის ჯალათების მფარველები ისევე უნდა დაისაჯონ, როგორც მირზა სუბელიანი ისჯება.

– მირზა სუბელიანი აქ რა შუაშია?

– მოდით, ვთქვათ, რის გამო დააპატიმრეს სუბელიანი. ის ციხეში დანაშაულის შეუტყობინებლობის გამო გაუშვეს. მან შვილსა და ცოლს დისშვილს დააფარა ხელი და ამის გამო ახლა პასუხისგებაშია მიცემული.

სუბელიანი თუ ისჯება ამის გამო, ის პირები არ უნდა დაისაჯონ., რომლებიც სააკაშვილის ჯალათებს ხელს აფარებენ? მარტო ხელს კი არ აფარებენ, აწინაურებენ კიდევაც. ბოკერიას რომ სიმართლის დადგენას დაავალებ, ეს უკვე დანაშაულია. იმაზე დიდი დანაშაულია, ვიდრე მირზა სუბელიანმა ჩაიდინა.

კიდევ ერთხელ მოვუწოდებ პროკურატურას, არ ითანამშრომლოს დროებით საპარლამენტო კომისიასთან.

– თქვენ პროკურატურას შსს-თან თანამშრომლობას ურჩევთ, თუმცა, როგორც ამბობენ, მტკიცებულებები განადგურებულია და სიმართლის დადგენა შეუძლებელია.

– მონდომება თუ იქნა, სიმართლის დადგენაც შეიძლება. ის, რაც ხორავას ქუჩაზე მოხდა, აუცილებლად უნდა გამოიძიონ, მაგრამ ამ შემთხვევაში მხოლოდ მკვლელების დადგენა არ იქნება საკმარისი.

გამოძიებამ აუცილებლად უნდა დაადგინოს, თუ რა მიზეზით მოხდა ეს საშინელება. მიზეზი თუ არ გავარკვიეთ და ამ მიზეზს არ ვებრძოლეთ, ხვალ ასეთი ტრაგედიები კიდევ მოხდება და ძალიან ბევრი ოჯახი გაუბედურდება.

თქვენ რა გგონიათ, მხოლოდ მოკლული ბავშვების ოჯახები განადგურდნენ? მათზე არანაკლებ მძიმე დღეში არიან ის ადამიანები, რომელთა შვილებიც ამ გარჩევაში მონაწილეობდნენ. მხოლოდ მიზეზის დადგენა და მიზეზთან ბრძოლა გვიხსნის მომავალში ასეთი ტრაგედიებისგან.

საქმის სამართლიანი გამოძიებისთვის კი ნებაა საჭირო, ამ ნებას მე ვერ ვხედავ. აქამდე კიდევ რაღაცის მჯეროდა, მაგრამ, ბოკერიას როცა დაავალეს სიმართლის დადგენა, ყველანაირი იმედი გადამეწურა.

– თქვენ რამდენიმე დღის წინ დეპუტატის იმუნიტეტის მოხსნისკენ მოუწოდეთ ბოკერიას და თქვით, რომ თქვენც იმავეს გააკეთებთ.

– დიახ, მოვუწოდე და კიდევ ერთხელ მოვუწოდებ. მოვიხსნათ ორივემ დეპუტატის იმუნიტეტი და ასე გამოიძიონ 2006-2008 წლების

ემზარ კვიციანი: „ოცნების“ დახურული შეხვედრა ივანიშვილის დავალებით ჩაიწერეს“

„პროკურატურამ ბოკერიას საგამოძიებო კომისიასთან არ უნდა ითანამშრომლოს“

მოვლენები. 2006 წლის კოდორის მოვლენები რომ არა, 2008 წლის აგვისტოში ის შედეგი არ დადგებოდა, რაც დადგა.

– ვინ უნდა გამოიძიოს ეს მოვლენები?

– იმ უწყებებმა, რომლებსაც გამოძიება ავალიათ.

– თქვენ პარლამენტშიც მოითხოვეთ დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა, რომელიც კოდორის მოვლენებს შეისწავლიდა, მაგრამ პარლამენტმა ამაზე უარი გითხრათ.

– მერე რატომ მითხრა უარი? ეს კომისია იმიტომ არ შექმნეს, რომ ბოკერია გამტყუნდებოდა. საკმარისი იყო, ბოკერიას მოეთხოვა ასეთი კომისიის შექმნა, რომ ეგრევე შექმნეს.

– რატომ გგონიათ, რომ ბოკერია გამტყუნდებოდა? ის 2006 წლის კოდორის მოვლენებში ხომ არ მონაწილეობდა?

– ოქრუაშვილივით და მერაბიშვილივით ხეობაში არ დარბოდა, მაგრამ ყველაფერი მაგან მოამზადა. 2004 წელს მაგან პირველმა დაიწყო ანტიკოდორული განცხადებების გაკეთება. ასე მოამზადეს საფუძველი საქართველოს ტერიტორიის გასასხვისებლად. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებას არ აინტერესებს ამ საქმის გამოძიება.

– ქვეყანა მორიგი სამთავრობო ცვლილებების მოლოდინშია. ახალ მთავრობას რომ მოსთხოვოთ ამ საქმის გამოძიება?

– სად არის მერე ახალი მთავრობა? ისევ ძველი სახეები იქნებიან მის შემადგენლობაში და, რაც მთავარია, ყველაზე მთავარი ისევ ის იქნება, ვინც აქამდე იყო.

– ბიძინა ივანიშვილს გულისხმობთ?

– აბა, სხვას ვის? ეგ ადამიანია მთავარი. მე არ ვამტკიცებ, რომ ის მართავდა ქვეყანას, მაგრამ შექმნილ ვითარებაზე მან უნდა აიღოს პასუხისმგებლობა.

– თუ არ მართავდა, მან რატომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა?

– იმიტომ, რომ 2012 წელს ხალხმა „ოცნება“ მისი ხათრით აირჩია. ამ პარტიას იმიტომ მისცეს ხმა, რომ ივანიშვილმა პირობა დადო, მე ვიქნები პრემიერიო. ამ თანამდებობაზე ცოტა ხანი იყო და მერე წავიდა. ამიტომ უნდა აიღოს მან პასუხისმგებლობა შექმნილ ვითარებაზე.

ბევრი რამე მინახავს ამ ცხოვრებაში და პოლიტიკური ზღაპრების არ მჯერა, მათ შორის არც იმ ზღაპრების, რომ მმართველი გუნდის დახურული შეხვედრა ვიღაცამ თავისი ინიციატივით ჩაიწერა და შემდეგ ეს მედიას მიაწოდა.

– თქვენი აზრით, რა მოხდა სინამდვილეში?

– რა მოხდა და ეს ყველაფერი შეთანხმებული იყო. სხვანაირად იქ ჩაწერა არ გამოვიდოდა.

– ვისთან იყო შეთანხმებული?

– ყველაზე მთავართან.

– მას რაში აწყობდა ამის ან ჩაწერა ან გამომზეურება?

– გამომზეურდა მხოლოდ ის ნაწილი, სადაც ივანიშვილი კვირიკაშვილს აკრიტიკებს და ეუბნება, თქვენს საქმეში როდის ვერეოდიო. ამ ჩანაწერებით კვირიკაშვილი გამოდის დამნაშავე.

– თქვენი აზრით, კვირიკაშვილი არ უნდა წასულიყო?

– სანამ არსებული სისტემა არ შეიცვლება, მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება ქვეყნის მეთაური. თავად კვირიკაშვილს რაც შეეხება, ის უნდა წასულიყო. მასთან დაკავშირებით ბევრი კითხვაა. მე რომ ჩემი ქონება ვერ დავიბრუნე, ამაში კვირიკაშვილს აქვს დიდი როლი შეტანილი.

– მას რატომ უნდა შეეშალა თქვენთვის ქონების დაბრუნებაში ხელი?

– ეს მას უნდა ჰკითხოთ. მე რაღაც ეჭვები კი მაქვს, მაგრამ კვირიკაშვილს უფრო კარგად ეცოდინება მიზეზები.

– რა ეჭვები გაქვთ?

– საცხოვრებელი სახლის გარდა, ნაციონალებმა მიწებიც წამართვეს. კარგად იცით, რომ მიწებს ვამუშავებდი და ჩემი მეურნეობა მქონდა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, „ოცნებას“ მივმართე, რომ ჩემი მიწები იჯარით მაინც მოეცათ ჩემთვის, მაგრამ არ გააკეთეს.

როგორც გავიგე, ჩემს დღეში კიდევ ბევრი ადამიანია, ხალხი თავის კუთვნილ მიწებს ვერ იბრუნებს. მიჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამ მიწების უცხოელებზე გასხვისება უნდათ. ეს ამბავი არ გამოუვათ, ქართული მიწა ისე დაპატარავდა, რომ მისი უცხოელებზე გასხვისება დანაშაულია.

სამწუხაროა, რომ, ნაციონალების მსგავსად, ეს ხელისუფლებაც ანტიეროვნული გადაწყვეტილებებისკენ არის მიდრეკილი. ვინც ოდნავ ეროვნული აზროვნება გამოაჩინა, ყველას ბრძოლა გამოუცხადეს. მათ შორის არის ეკა ბესელია.

– რა ეროვნული გადაწყვეტილება მიიღო ბესელიამ და რა ბრძოლა გამოუცხადეს მას?

– ეკა ბესელია ამბობს, რომ აუცილებელია ორმაგი მოქალაქეობის წესის შემოღება. ამით ძალიან ბევრი ქართველი დაიბრუნებს მოქალაქეობას, რომელიც საზღვარგარეთ წასვლის შემდეგ დაკარგა. რაღაც ძალებისთვის ეს მიუღებელი აღმოჩნდა. ამიტომაც გამოუცხადეს მას ბრძოლა – ის დააკავშირეს ერთ-ერთ ფინანსურ პირამიდასთან. მისი კავშირი იმით ახსნეს, რომ იქ ეკას ძმაა. ამ ამბავმა 2006 წლის მოვლენები გამახსენა. მაშინ მე არ დამიჭირეს, მაგრამ რომ გავემწარებინე, ჩემი დაიკო, ნორა, ჩასვეს ციხეში. ეკა ბესელიასაც ოჯახის წევრით ებრძვიან.

არც ის არის შემთხვევითი საქმე, რომ ეკა „ოცნების“ პოლიტსაბჭოს შემადგენლობიდან ამოიღეს, იქიდან გამოუშვეს სოფო კილაძეც. ცოტა ხანში მის წინააღმდეგაც აგორდება შავი პიარი.

– მის წინააღმდეგ რატომ აგორდება შავი პიარი?

– იმიტომ, რომ ეგეც ეროვნული ადამიანია. მან მოიწონა კანონი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის შესახებ. ამას არასამთავრობოები არ აპატიებენ.

სოფო კილაძესა და ეკა ბესელიას გამალებით ებრძვიან, ამ დროს თვალებს ხუჭავენ იმ ტერორისტულ აქტზე, რომელიც ნიკა გვარამიამ ჩაიდინა.

– რა ტერორისტული აქტი ჩაიდინა გვარამიამ?

– მთვარისა ნავერიანს ხელი დაარტყა და შეაგინა.

– ხელის დარტყმა და გინება ძალიან ცუდია, მაგრამ ტერორისტული აქტი არ არის.

– მე გეუბნებით, რომ არის. თქვენი აზრით, ტერაქტი მხოლოდ აფეთქება და მკვლელობაა? ტერაქტი ხალხის დაშინებას გულისხმობს. ტერორი ლათინური სიტყვაა და ქართულად შიშს ნიშნავს. გვარამიამ ამ თავისი ტერაქტით ყველა განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანს უთხრა, რომ მათაც ასე გაუსწორდება.

ამ საქმეზე ერთი საინტერესო დეტალი უნდა გითხრათ, ნავერიანზე თავდასხმას ჰყავდა თვითმხილველი. ის თავად დაუკავშირდა მთვარისას და უთხრა, რომ გვარამიას წინააღმდეგ ჩვენებას მისცემდა. როცა საქმე საქმეზე მიდგა, ამ ადამიანმა ჩვენების მიცემაზე უარი თქვა.

– რატომ თქვა უარი?

– დააშინეს.

– ვინ დააშინა?

– ხელისუფლებამ.

– ხელისუფლებას რატომ უნდა დაეშინებინა? გვარამია მათ სისხლს უშრობს და, წესით, ყველა საშუალებას უნდა მიმართონ, რომ მის წინააღმდეგ საქმე აღიძრას.

– ეს დაპირისპირებაც ტყუილია. წინააღმდეგ შემთხვევაში, არც მოწმეს არ დააშინებდნენ და გვარამიაც საკადრისად დაისჯებოდა ქალზე ძალადობისთვის.

კოაბიტაციასა და დამნაშავეებისთვის ხელის დაფარებას „ოცნების“ ბევრი დეპუტატი მტკივნეულად განიცდის, მაგრამ ხმას ვერ იღებენ. მხოლოდ დავით ჭიჭინაძე და ზაზა პაპუაშვილი ბედავენ ხმამაღლა იმის თქმას, რასაც ფიქრობენ. მალე სხვებიც ამოიღებენ ხმას და ერთხელაც იქნება და „ოცნებაში“ დაგროვილი უკმაყოფილება იფეთქებს.

ილია II-მ საკვირაო ლოცვა მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენლებთან ერთად აღავლინა

გუშინ, 17 ივნისს, ილია II-მ საკვირაო ლოცვა მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენლებთან ერთად აღავლინა.

ლიტურგიის დასრულების შემდეგ ღალის მიტროპოლიტმა ემანუელმა და სმირნის მიტროპოლიტმა ბართლომეოსმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსა და საქართველოს ეკლესიას სრული თანადგომა აღუთქვეს.

მადლობის ნიშნად საქართველოს პატრიარქმა სტუმრებს საჩუქრად საკუთარი ხელით დაწერილი ხატი უსახსოვრა.

პირველი რადიო

გიორგი გაჩეჩილაძე: „საკითხავია, ვის მასკარადში მონაწილეობს მარგველაშვილი“

გულიკო ბალაძე

ვის მასკარადში მონაწილეობს პრეზიდენტი მარგველაშვილი? რატომ ტოვებენ თეა წულუკიანს ახალ მთავრობაში? პარლამენტის წევრი, მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე, „ახალ თაობასთან“ ამ და სხვა საკითხებზე საუბრობს.

– ბატონო გიორგი, მოგეხსენებათ, პრემიერის გადადგომასა და თანმდევ პროცესებს პრეზიდენტმა მასკარადი უწოდა, რაზეც თქვენ განაცხადეთ, მასკარადი იხ არის, ნიღბებით რომ დადიან და ერთობიანო. ალბათ, გაქვთ ინფორმაცია, როგორ ერთობიან.

– პრეზიდენტმა საარჩევნო კამპანია დაიწყო. არ ვიცი, საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღებს თუ არა მონაწილეობას, მაგრამ, როგორც ჩანს, დიდი სურვილი აქვს. ამიტომ ცდილობს, რაც შეიძლება რადიკალური სიტყვები, ტექსტები თქვას და საზოგადოების მაქსიმალური ყურადღება მიიქციოს.

მარგველაშვილს დაავიწყდა, რომ ის არის სახელმწიფოს მეთაური. სერიოზული პასუხისმგებლობა აქვს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე, მათ შორის, სტაბილურობაზე და საქართველოს სახელმწიფოსთვის შეურაცხყოფის მიყენება დაიწყო.

– პრეზიდენტმა პრემიერის გადადგომის პროცესი საერთაშორისო კონფერენციაზე შეაფასა, ანუ არასათანადო დროს არასაჭირო განცხადებები გააკეთა?

– დიახ, კონფერენციაზე სტუმრები იყვნენ უცხოეთიდან, მარგველაშვილი კი შეეცადა, საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაცია მოეხდინა, რაც თავისთავად სახელმწიფოს დასუსტების მცდელობას ნიშნავს. თუ ჩვენ საერთაშორისო მხარდაჭერა არ გვექნა (განსაკუთრებით, სტრატეგიული პარტნიორებისაგან), მაშინ ძალიან გაგვიჭირდება. სწორედ სტრატეგიული პარტნიორების დახმარებით ვარსებობთ, როგორც სახელმწიფო და განვითარების გზაზე ვდგავართ.

– ხომ არ გაქვთ ინფორმაცია, რა გავლენა იქონია პრეზიდენტის გამოსვლამ კონფერენციის მონაწილეებზე?

– არ ვიცი, ჯერჯერობით ინფორმაცია არ გვაქვს, მაგრამ, ალბათ, გარკვეული პერიოდის შემდეგ საერთაშორისო მედიასა და ინტერნეტ-საიტებზე პუბლიკაციები გაჩნდება. პუბლიკაციებში ნეგატიურ შეფასებებზე, ერთი მხრივ, იმუშავებს მარგველაშვილის განცხადებები, მეორე მხრივ, სააკაშვილი, რომელიც, არავინ იცის, სად არის. აქედან კი ნაცმოძრაობა, რომლის ინტერესი ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოწყობაა.

ისინი ბევრს მუშაობენ ქვეყანაში არეულობის მოსაწყობად, სურთ, შეიქმნას ისეთი პირობები, ჩაიშალოს დიდი პროექტები, რომლებიც დაწყებულია და მნიშვნელოვანია არა მარტო საქართველოს განვითარების, არამედ ევროკავშირის უსაფრთხოებისთვის, აზერბაიჯანისა და სხვა რეგიონული ქვეყნების განვითარებისთვის.

– მაგალითად?

– მხედველობაში მაქვს სატრანსპორტო დერეფნის განვითარება, რომელიც შუა აზიას აზერბაიჯანის საშუალებით ევროკავშირთან აკავშირებს. მათ არ სურთ, რომ საქართველომ რუსეთის საწინააღმდეგო პროექტები განახორციელოს. რუსეთს არ უხარია ის, რასაც საქართველო აკეთებს. პრეზიდენტის განცხადება იყო გამოხდომა საერთაშორისო ექსპერტებისა და სხვა წარმომადგენლების მხრიდან.

– ნებისმიერი არამდგრადი ვითარება მოქმედებს საქართველოს ნატოში და სხვა საერთაშორისო სტრუქტურებში მიღების პერსპექტივაზე? ისე, 2008 წელს ომისა და სააკაშვილის მოქმედებების შემდეგ ხომ ნატოს გზა გადაგვეკეტა.

– ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება ვინმეს აჩემება კი არ არის, ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა. რუსეთი აგრესიული სახელმწიფოა, რუსეთის სათავეში აგრესიული ხელისუფლება დგას. ამიტომ ყველა ქმედება, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნისთვის პრობლემების შექმნასთან, რუსული ინტერესებიდან გამომდინარეობს.

– თქვენ ბრძანეთ, როდესაც მარგველაშვილი ნიღაბს ჩამოიხსნის, მერე გამოჩნდება, ვის მასკარადში მონაწილეობსო. ამასთან, ნაცმოძრაობისა და ამსტერდამის ჯგუფის მიზნებზე ისაუბრეთ. ვის მასკარადში მონაწილეობს გიორგი მარგველაშვილი?

– როდესაც პრეზიდენტი ვეტოებს ადებდა სტრატეგიულად მნიშვნელოვან კანონებს, საკონსტიტუციო ცვლილებებს, მაშინ ვთქვი, რომ თუ ეს ვეტოები არ დაიძლეოდა, ქვეყანას მხოლოდ ნაცმოძრაობა შერჩებოდა, როგორც ალტერნატივა.

– ქვეყანას ნაცმოძრაობა ისედაც აქვს შერჩენილი.

– კი მაგრამ, 2020 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო ბარიერი დავწიეთ 3%-მდე, პარტიებს მივეცით საშუალება, რომ ბლოკები შექმნან, დავტოვეთ მაჟორიტარული არჩევნები, რომ გარკვეულ პიროვნებებმა გაიმარჯვონ, ანუ პოლიტიკურ სპექტრს მივეცით საშუალება, არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ნაცმოძრაობითა და მისი განაყოფებით. ჩვენი პრეზიდენტი კი ნაცმოძრაობის მასკარადში მონაწილეობს.

ახლა მიდის მოძრაობა, რომ მინისტრთა კაბინეტში არ შეუშვას თეა წულუკიანი. ასეთ დროს თეა წულუკიანის მთავრობიდან წასვლა როგორ შეიძლება?

– რატომ, თეა წულუკიანი შეუცვლელია თუ შემცვლელს ვერ პოულობთ?

– თეა წულუკიანმა შეძლო ჰააგაში იმ საქმის გაცოცხლება, რომელიც 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომთან არის დაკავშირებული. თქვენ არ იცით, რა ძალისხმევა დასჭირდა იუსტიციის სამინისტროს მტკიცებულებების მოსაპოვებლად.

– კერძოდ, რა?

– ბევრი რამის თქმა არ შეიძლება. ბევრი მტკიცებულება დაკარგული იყო.

– თეა წულუკიანს ქვეყნის შიგნით პრობლემები არ აქვს, იმავე სასამართლოსა და პროკურატურის სისტემაში რეფორმებისა და სხვა მხრივ?

– პრობლემები როგორ არ არის, მაგრამ ამას ეტაპობრივი გადაწყვეტა სჭირდება. სასამართლო სისტემაში პრობლემები მხოლოდ იმიტომ კი არ არის, რომ ჯერჯერობით სამართლებრივი სივრცე არ არის მოწესრიგებული, მოსამართლეების დიდი ნაწილი წინა ხელისუფლებიდან გადმოგვყვა, რომელთა ძირითადი ფუნქცია მაშინ, შიშისა თუ დაშინების გამო, პროკურატურის ნოტარიუსად ყოფნა იყო.

რეალურად, სასამართლო არ იყო, პროკურატურის დანამატი გახლდათ და ყველა გადაწყვეტილებას პროკურატურის სასარგებლოდ იღებდა. ასეთი ვითარება დაგვხვდა, მაგრამ, როგორ წარმოგიდგენიათ, მთელი სასამართლო კორპუსის ერთი ხელის მოსმით გაშვება სასამართლოს პარალიზებას არ გამოიწვევს?

– ჰააგაში ისეთი მტკიცებულებებია წარდგენილი, ჩვენთვის სასურველ გადაწყვეტილებას უნდა ველოდოთ?

– ჰააგაში სასამართლო გადაწყვეტილებას რამდენიმე თვეში გამოაცხადებს. ჩვენ არ ვიცით, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო. იუსტიციის სამინისტრომ თეა წულუკიანის ხელმძღვანელობით დიდი სამუშაო ჩაატარა. თქვენ კიდევ არ იცით, მტკიცებულებები როგორ მოიპოვა, ყველაფრის თქმა არ შემიძლია. წინა ხელისუფლების მიერ დამალული მტკიცებულებები მოიპოვა. საზოგადოებამ ეს არ იცის.

– ძალიან კარგია, თუ ასეა, მაგრამ სასამართლო სუსტი რგოლია, უვადოდ ნიშნავენ იმ მოსამართლეებს, რომლებსაც გახმაურებულ საქმეებზე გადაწყვეტილებები აქვთ მიღებული. ცოტა გაცხრილვა მაინც ხომ იყო საჭირო.

– რა თქმა უნდა, პრობლემები არის, მაგრამ თეა წულუკიანი რა შუაშია.

– რეფორმები ხომ იუსტიციის სამინისტრომ ჩაატარა.

– კი, მაგრამ ამას იუსტიციის საბჭო აკეთებს, რომელშიც გამუდმებული ჩხუბია. არ ვიცი, რა ეშველება იუსტიციის საბჭოს, მაგრამ თეა წულუკიანს ამასთან შეხება არ აქვს.

– კვირიკაშვილი მაინც რატომ გადადგა?

– ძირითადადი მიზეზი იყო უმრავლესობის უკმაყოფილება სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით. ეს საკითხი გაამწვავა გაეროს მოხსენებამ ბავშვების მდგომარეობის შესახებ.

თურქეთი და აზერბაიჯანი სამოკავშირეო სახელმწიფოს ქმნიან

მარიამ მჭედლიშვილი

შენარჩუნდება თუ არა რუსეთ-სომხეთის სამხედრო დაჯგუფება

კავკასიაში ძვრები გრძელდება. სამხრეთ კავკასიის რყევები სომხეთში მომხდარი ხავერდოვანი რევოლუციით არ დამთავრებულა.

სომხეთის მოვლენები ავტომატურად იწვევს სხვა პროცესებს კავკასიაში.

ექსპერტების ნაწილი დარწმუნებულია, რომ სომხეთში პროდასავლური ძალების ხელისუფლებაში მოსვლა განაპირობებს რუსეთის მარცხს კავკასიაში, ასევე – ირანის იზოლირებას. სხვა ანალიტიკოსები საუბრობენ იმაზე, რომ სომხეთის დაკარგვის შიშით რუსეთი უფრო აგრესიული ხდება საქართველოს მიმართ. ამის გამო რეალურია საქართველოს სხვა კუთხეების ოკუპაციის საფრთხე და არეულობის პროვოცირება.

რეგიონში სიტუაციას ართულებს ახალი იდეები. ერთ-ერთი ინიციატივა თურქეთ-აზერბაიჯანის სახელმწიფოს შექმნას გულისხმობს.

ახლო აღმოსავლეთის პრობლემატიკაზე მომუშავე სპეციალისტები ასკვნიან, რომ ანკარა და ბაქო ერთიან ფედერაციად ყალიბდებიან.

ორივე სახელმწიფო საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორად ითვლება. თურქეთი დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში სირიის საკითხზე მჭიდროდ თანამშრომლობს რუსეთთან და ირანთან. ანკარას ბოლო დროს მხარდაჭერა გამოუცხადეს ვაშინგტონმა და ნატომ. მათ აღიარეს თურქეთი მოთამაშედ ახლო აღმოსავლეთში.

როგორც ჩანს, თურქეთი სხვა მიმართულებითაც ცდილობს პოზიციების გამყარებას. ამისთვის იგი იყენებს ნათესაურ და მეგობრულ კავშირებს აზერბაიჯანთან.

თურქი პოლიტოლოგი ტორგულ ისმაილი გამოდის მოწოდებით, რომ თურქეთმა და აზერბაიჯანმა ჩამოაყალიბონ ისეთი სამოკავშირეო სახელმწიფო, როგორიც რუსეთსა და ბელორუსს აქვთ.

მისი თქმით, ბაქო და ანკარა შეისწავლიან ერთობლივი თავდაცვის საკითხებს. ამ დროს გასათვალისწინებელია სომხეთ-რუსეთის ერთობლივი დაჯგუფების შექმნის ფაქტორი.

როგორც ჩანს, თურქი პოლიტოლოგი დარწმუნებულია, რომ ერევანი მოსკოვის ორბიტაზე რჩება და ის რუსეთთან სამხედრო ალიანსს გააგრძელებს.

ანალიტიკოსები დააფიქრა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მევლუთ ჩავუშოღლუს განცხადებამ აზერბაიჯანზე:

– თურქეთი და აზერბაიჯანი ძმური სახელმწიფოებია. ჩვენ ყოველთვის ვინტერესდებით აზერბაიჯანის პრობლემებით. მე აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრიც ვარ. ამის შესახებ ჩემმა ძმამ, ელმარ მამედიაროვმაც იცის. ხანდახან მას ვეხუმრები ხოლმე, შეგიძლია, შვებულებაში გახვიდე, მე ხომ მაინც უნდა ვიმუშაო-მეთქი. ძმებს შორის ურთიერთობა სწორედ ასეთი უნდა იყოს.

ექსპერტების შეფასებით, ერდოღანი და ალიევი ახდენენ იდეურ-პოლიტიკური, სამხედრო-ტექნიკური, ენერგეტიკული და ეკონომიკური საერთო ხედვების დემონსტრირებას. ბაქოს მთიანი ყარაბაღის პრობლემა აღელვებს. ომის მდგომარეობაში იმყოფება ანკარაც, რომელსაც ახლო აღმოსავლეთში ქურთული სახელმწიფოს გაჩენის ეშინია. ალიევი პუტინისგან მოითხოვს, გააკეთოს არჩევანი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, ე.ი. ხელი შეუწყოს მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანის იურისდიქციაში დაბრუნებას. ერდოღანი მოთხოვნებს ტრამპს უყენებს. მას მიაჩნია, რომ აშშ-მ ან თურქეთი უნდა აირჩიოს, ან ქურთები.

აზერბაიჯან-თურქეთის შეკავშირება იწვევს ბევრი სახელმწიფოს, მათ შორის, ირანის შეშფოთებას, სადაც რამდენიმე მილიონი აზერბაიჯანელი ცხოვრობს.

თურქული მედიის აზრით, არსებული მსოფლიო წესრიგის რღვევას ანკარა სწორად პასუხობს. თურქულ გამოცემებს მხედველობაში არ აქვთ ანკარა-ბაქოს დაახლოება. მათი შეფასებით, აშშ-ის ჰეგემონია სუსტდება. თურქეთი ადაპტირებას ახდენს ცვალებად გლობალურ პირობებთან. აქედან გამომდინარე, თურქეთის დაახლოება რუსეთთან, ჩინეთთან და ირანთან მართებულია.

რომან კაკულია: „კვირიკაშვილმა ძალიან უმადური საქმე ჩაიბარა“

„ძალიან უმადური საქმე ჩაიბარა კვირიკაშვილმა. დარწმუნებული ვარ, რომ მისი 4-პუნქტიანი გეგმის ბევრი ელემენტი ყველა მომდევნო მთავრობებისთვის იქნება ფუნდამენტი და მასზე დააშენებენ ისინი მომავალ ხედვებს“, – განაცხადა რადიო კომერსანტთან საუბრისას საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულიამ.

– კვირიკაშვილს მოუწია გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების ფუნდამენტის ჩაყრაზე ზრუნვა, ვფიქრობ სწორად განახორციელა ეს პროცესი, თუმცა მთავრობას არ ეყო იმის რესურსი, რომ ამის პარალელურად ყოველდღიური პრობლემები მოეგვარებინა.

მაგალითად, განათლების სისტემაში გატარებული რეფორმები, რომლებიც გრძელვადიან პერსპექტივაშია გათვლილი დღესვე შედეგს ვერ მოიტანს. ყველა მთავრობას უჭირს ამ ორივე საქმის ერთდროულად კეთება. ვფიქრობ, ძალიან უმადური საქმე ჩაიბარა კვირიკაშვილმა, მე დარწმუნებული ვარ, რომ მისი 4-პუნქტიანი გეგმის ბევრი ელემენტი ყველა მომდევნო მთავრობებისთვის იქნება ფუნდამენტი და მასზე დააშენებენ ისინი მომავალ ხედვებს, – ამბობს რომან კაკულია.

რომან კაკულია რადიო კომერსანტთან საუბრისას მამუკა ბახტაძის კანდიდატურას აფასებს.

– მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვანი წყარო ბიზნესია, მამუკა ბახტაძემ საბანკო და საფინანსო სექტორზე წინ ჩვენი ქვეყნის გაჭირვებულ მოქალაქეები დააყენა და არჩევანი სწორედ მოწყვლადი ჯგუფების სამომავლო კეთილდღეობა და მათი პრობლემების გადაწყვეტის სასარგებლოდ გააკეთა.

საქართველოს საბანკო სექტორს აქვს უნარი, გადაიტანოს ეს პრობლემები, მათ მოუწევთ დაფიქრება იმაზე, რომ ისინი მარტო ვერ განვითარდებიან. თავისუფალი ბაზრის უხილავი ხელი ყოველდღიურ კეთილდღეობას ვერ მოიტანს, თუ მთავრობამ არ მოძებნა ჭკვიანური ჩარევის გზები, – ამბობს რომან კაკულია.

კომერსანტი

პაატა ბაირახტარი: „ბახტაძეს კვირიკაშვილთან შედარებით პირდაპირი და ხისტი გადაწყვეტილებების მიღება შეუძლია“

– მამუკა ბახტაძე არის ინოვატორი და ძალიან კარგი ეკონომისტი, კარგი ხედვებით. მას არ აშინებს სიახლეები, – განაცხადა რადიო კომერსანტთან საუბრისას ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის ვიცეპრეზიდენტმა პაატა ბაირახტარმა.

მისივე თქმით, ყოფილ პრემიერს გადაწყვეტილებების მიღება უჭირდა.

– გიორგი კვირიკაშვილის პრემიერობის დროს ბევრი პოზიტიური ცვლილება განხორციელდა, პირველ რიგში, ეს იყო დედოლარიზაციის პროგრამა, ასევე 4-პუნქტიანი სამოქმედო გეგმა, რომლიდანაც ნაწილმა ვერ იმუშავა, თუმცა იმ კრიზისულ პერიოდში ამ გეგმის მიღება ნამდვილად იყო გამოსავალი. გეგმის ზოგიერთ ნაწილში არსებობდა გარკვეული ნიუანსები, რომლებიც ფუნდამენტურად მცდარი იყო.

რაც შეეხება, მამუკა ბახტაძეს, გიორგი კვირიკაშვილთან შედარებით, მას პირდაპირი და ხისტი გადაწყვეტილებების მიღება შეუძლია, რაც არ შეეძლო კვირიკაშვილს, ის საკმარისზე მეტად ფრთხილი იყო გადაწყვეტილებების მიღებისას.

მამუკა ბახტაძე არის ინოვატორი და ძალიან კარგი ეკონომისტი, კარგი ხედვებით, მას არ აშინებს სიახლეები და სრულად ვუჭერდი მხარს მის გადაწყვეტილებებს ფინანსურ სექტორში, – ამბობს პაატა ბაირახტარი.

კომერსანტი

სოფლის მეურნეობა მთავრობის მიერ ჩადებულ თანხას ვერ ამართლებს

– საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2018 წლის 13 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ. 2018 წლის დასაწყისში ინფლაციის მაჩვენებელი შემცირდა და, არსებული პროგნოზების შესაბამისად, მიზნობრივ დონესთან (3 პროცენტი) ახლოს ნარჩუნდება, – ნათქვამია ეროვნული ბანკის მიერ გავრცელებულ პრესრელიზში.

ეროვნული ბანკის ამ გადაწყვეტილებას საზოგადოება და ბანკების ხელმძღვანელი, გიორგი კეპულაძე აფასებს. მან რადიო კომერსანტთან საუბრისას განაცხადა, რომ ეროვნული ბანკის ეს გადაწყვეტილება ლოგიკური და მოსალოდნელი იყო.

– მოსალოდნელი იყო ეს გადაწყვეტილება, ვინაიდან არ მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც მონეტარული პოლიტიკის შერბილებას გამოიწვევდა. ინფლაციის მაჩვენებელი, მიზნობრივი მაჩვენებელი ახლოსაა, ფიქსირდება მხოლოდ ნავთობზე ზრდა, რაზეც ვერ ვახდენთ ზეგავლენას, ამიტომ ლოგიკური იყო რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად დატოვება.

საცალო პროდუქციით მოვაჭრე ობიექტები საუბრობენ გაყიდვების შემცირებაზე, ვინაიდან ახალი რეგულაციების პირობებში ეს მოსალოდნელიც იყო, თუმცა ეროვნული ბანკი იმედოვნებს, რომ მოხმარება ძალიან მალე გაიზრდება და ეს ტენდენცია არ გაგრძელდება.

ქვეყნის ეკონომიკის ზრდა დიდი იმედი მაქვს იქნება მაღალი , თუმცა უნდა გავიაზროთ, რომ ეს არ უნდა ხდებოდეს მხოლოდ ტურიზმის ზრდის ხარჯზე. მაგალითად, სოფლის მეურნეობა ვერ ამართლებს მთავრობის მიერ ჩადებულ თანხას, ამიტომ თანაბრად უნდა განვითარდეს სხვადასხვა სექტორები, – ამბობს გიორგი კეპულაძე.

კომერსანტი

მთავრობა მოსახლეობას განვადებისა და ლიზინგის უცხოურ ვალუტაში ინდექსირებას უკრძალავს

პარლამენტი განიხილავს ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ საკანონმდებლო პაკეტს, რომლის მიღების შემთხვევაშიც 100,000 ლარამდე საგანვადებო და სალიზინგო ხელშეკრულებების რამე სახით უცხოურ ვალუტაზე ინდექსირება აიკრძალება. კანონის ამ მოთხოვნის დარღვევა 1000 ლარამდე ჯარიმას ითვალისწინებს.

ეს მამუკა ბახტაძის უწყების მიერ შემუშავებული ერთ-ერთი უკანასკნელი რეგულაციაა. ამავე საკანონმდებლო პაკეტით უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა მხოლოდ და მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით იქნება დაშვებული. ასევე, იზღუდება ლომბარდებისა და კერძო გამსესხებლების (ე.წ. მევახშეების) მიმართ ავტომობილებისა და უძრავი ქონების დაგირავება, ქვეყანაში სესხებზე მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი 100%-დან 50%-მდე მცირდება.

7 მაისს ძალაში შევიდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება, რომელიც ქვეყანაში სესხების გაცემასთან დაკავშირებით დამატებით რეგულაციას აწესებს. კონკრეტულად კი ბანკებს სესხების შემოსავლების დადასტურების გარეშე გაცემაზე ლიმიტები დაუდგინდათ. ბანკები, რომლებიც ამ ლიმიტს მიაღწევენ, დაკარგავენ უფლებას, გასცენ ნებისმიერი ტიპის სესხი მომხმარებლის შემოსავლების დეტალური შეფასების გარეშე. ახალი რეგულაციის მიხედვით, შემოსავლების დადასტურების გარეშე გაცემული სესხების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25%-ს. იმის გამო, რომ საქართველოში არაფორმალური სექტორის (თვითდასაქმების) წილი საკმაოდ მაღალია იმ ადამიანებს, ვისაც რეალურად აქვთ შემოსავალი, თუმცა ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ გააჩნიათ სესხის აღება გაურთულდათ.

მომავალ პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძეს არაერთი კრიტიკული განცხადება აქვს გაკეთებული კომერციული ბანკების მისამართით. მისი თქმით, ბანკები გაკოტრებისთვის განწირულ მოსახლეობას თავზე სესხებს ახვევენ, ბახტაძემ ბანკებს ეკონომიკის მუხრუჭიც უწოდა:

– ბანკების მიერ ხდება ფოკუსირება წინასწარ გაკოტრებისთვის განწირული მოსახლეობისთვის თავზე სესხების მოხვევაში. სწორედ ამ დროს იქმნება სიტუაცია, როდესაც საბანკო სისტემა არის არა ეკონომიკის განვითარების ძალა, არამედ მუხრუჭი, – აპრილში ამბობდა ბახტაძე.

კომერსანტი

თამბაქოს მოხმარების წესების დარღვევისთვის 93 ფიზიკური და 10 იურიდიული პირი დაჯარიმდა

2018 წლის 1-ლი მაისიდან 7 ივნისის ჩათვლით თამბაქოს მოხმარების წესების დარღვევისთვის საპატრულო პოლიციამ 110 სამართალდარღვევაზე მოახდინა რეაგირება. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1711-ე მუხლით 93 ფიზიკური და 17 სამართალდარღვევისთვის 10 იურიდიული პირი დაჯარიმდა.

ყველაზე მეტი სამართალდამრღვევი იმერეთში გამოვლინდა. კერძოდ, სამართალდამცველებმა იმერეთში 7 ივნისის ჩათვლით თამბაქოს მოხმარების წესების დარღვევისთვის 68 ფიზიკური პირი დააჯარიმეს. 15 ფიზიკური პირი დაჯარიმდა სამცხე-ჯავახეთში, 4 ფიზიკური და 6 იურიდიული პირი დაჯარიმეს ქვემო ქართლში, 1 ფიზიკური და 4 იურიდიული პირი შიდა ქართლში, კახეთსა და მცხეთა-მთიანეთში კი თამბაქოს მოხმარების წესების დარღვევისთვის თითო-თითო ადამიანი დააჯარიმეს.

რაც შეეხება თბილისს, მაისში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1711-ე მუხლის დარღვევისთვის მხოლოდ ერთი პირი დაჯარიმდა. თუმცა 1-დან 7 ივნისის პერიოდში სამართალდამცველებმა თამბაქოს მოხმარების წესების დარღვევისთვის 2 პირი დაჯარიმეს.

იპნ

ხულო-ზარზმის გზის მშენებლობა, რომელიც 2016 წელს დაანონსდა, ჯერ კიდევ არ დაწყებულა

ხულო-ზარზმის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის შესახებ საავტომობილო გზების დეპარტამენტმა საზოგადოებას ჯერ კიდევ 2016 წლის 30 დეკემბერს ამცნო. იმ დროისთვის არსებული ინფორმაციით, პირველ ეტაპზე, არაბეთის ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდის (KFAED) დაფინანსებით, 47-კილომეტრიანი გზის 29-კილომეტრიანი მონაკვეთი აშენდებოდა, ხოლო მეორე ლოტით გათვალისწინებულ სამუშაოებს საქართველოს მთავრობა დააფინანსებდა.

2017 წლის სექტემბერში, საარჩევნო კამპანიის ფარგლებში, ბათუმში მყოფი პრემიერ-მინისტრი კვირიკაშვილი საზოგადოებას დაპირდა, რომ ხულო-ზარზმის გზის მონაკვეთის მშენებლობა უახლოეს დღეებში დაიწყებოდა. მსგავსი დაპირებები არაერთხელ გააჟღერა აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარემაც. მაგალითად, გასული წლის აგვისტოში ზურაბ პატარაძე ამბობდა: „ხულო-ზარზმის გზის მშენებლობა ერთ თვეში დაიწყება. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი გოდერძიდან ბეშუმის მიმართულებით გზის მშენებლობაა. მომავალი სეზონისთვის უკვე ასფალტირებული გზა გვექნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ვიზიტორთა რაოდენობა კიდევ უფრო მოიმატებს და მეტი ადამიანი ამოვა ბეშუმში დასასვენებლად“. ამ განცხადებიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ, ხულოს მოსახლეობა უგზოობას უჩივის. ადგილობრივების თქმით, მოუწესრიგებელი საგზაო და საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის გამო, მთის კურორტი ტურისტების ნაკლებობას განიცდის.

2017 წლის ბოლოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემაც განაცხადა, რომ ხულო-ზარზმის მონაკვეთზე სამუშაოები 2018 წლის გაზაფხულზე დაიწყებოდა. ცოტა ხნის წინ, იმავე სამუშაოების დაწყების შესახებ ინფორმაცია, საქართველოს პარლამენტის ტრიბუნიდან პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ილია ნაკაშიძემაც გააჟღერა. აჭარაში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე საუბრისას დეპუტატმა აღნიშნა, რომ ხულო-ზარზმის 47-კილომეტრიანი გზის მონაკვეთის მშენებლობა იწყება.

საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ფაქტ-მეტრს აცნობა, რომ ამ ეტაპზე სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულებაზე მიმდინარეობს ხელშეკრულების გაფორმების პროცესი, რომლის დასრულების შემდეგაც ცნობილი გახდება სამუშაოების დაწყების ზუსტი თარიღი. ჩვენ ვცადეთ, დაგვეზუსტებინა, რომელ კომპანიასთან აფორმებს ხელშეკრულებას სააგენტო და მის წარმომადგენელს ტელეფონით ვესაუბრეთ. მან გვითხრა, რომ სანამ ხელშეკრულება არ გაფორმდება, მანამდე კომპანიის სახელს არ გვეტყვის და ამ კითხვაზე პასუხს ვერც ინფორმაციის ოფიციალურად გამოთხოვის შემთხვევაში მივიღებთ.

ხულო-ზარზმის გზის მონაკვეთის მშენებლობის შესახებ ფაქტ-მეტრი ადრეც წერდა. სტატიაში, დეპარტამენტიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ნათქვამია, რომ პროექტის ფარგლებში I კვარტალში უკვე გახარჯული იყო 193 950 ლარი, ხოლო II კვარტალში – 371.772 ლარი, თუმცა ინფორმაცია სამუშაოების ზუსტი გრაფიკის შესახებ არც გასულ წელს და არც ახლა არ მოგვაწოდა.

ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვადები, სამივე ღონისძიების შემთხვევაში, დარღვეულია, ხოლო სამშენებლო სამუშაოები ჯერაც არ დაწყებულა. ფაქტ-მეტრის შარშანდელ კვლევაში აღვნიშნეთ, რომ პროექტის მთლიანი ღირებულება, როგორც მაშინ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ზურაბ ალავიძე აცხადებდა, დაახლოებით 100 მლნ ლარი იყო, ხოლო ხანგრძლივობა – ორი წელი. ხულო-ზარზმის მონაკვეთის მშენებლობა პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის ინიციატივის, ოთხპუნქტიანი გეგმის, ერთ-ერთი მიმართულების, ქვეყნის სივრცითი განვითარების ნაწილია და ამ გზის მშენებლობის დაწყების შესახებ განცხადებას ხელისუფლება 2016 წლიდან პერმანენტულად აკეთებს, დაახლოებით, ერთწლიანი შუალედებით. მშენებლობის დაწყების ზუსტი დრო კი კვლავაც გაურკვეველია.

ჩვენ აღნიშნული გზის მშენებლობასთან დაკავშირებულ პროცესებს მომავალშიც დავაკვირდებით და მკითხველს განახლებულ ინფორმაციას მივაწვდით.

კომერსანტი

ინკასატორის ინსცენირებული დაყაჩაღება და დანაშაულში ჩართული ნათესავები

შსს-მ ზაჰესში მომხდარი დანაშაული გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს თანამშრომლებმა სწრაფი ჩარიცხვის აპარატების დაყაჩაღების ფაქტი გახსნეს. სამართალდამცველებმა ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობისა და უკანონო საზღვრის კვეთის ბრალდებით ნათესაურ კავშირში მყოფი რ.ხ. და ლ.ზ. თბილისსა და სარფში დააკავეს.

მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გატარებული ინტენსიური ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ დაკავებულებმა სწრაფი ჩარიცხვის აპარატების ინკასატორზე რ.ხ.-ზე ვითომ ყაჩაღური თავდასხმა დაგეგმეს და ზაჰესში განახორციელეს. თავდასხმის იმიტაციით მათ პოლიციისთვის კვალის არევა და დიდი ოდენობით თანხის (149,828 ლარი, 220 დოლარი) მითვისება, ასევე ქვეყნის უკანონოდ დატოვება ცადეს.

გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის 2-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დაიწყო. გამოძიების მსვლელობისას მოწმის სახით გამოკითხულმა ინკასატორმა რ.ხ.-მ სამართალდამცველებს თავდაპირველად განუცხადა, რომ ზაჰესში მას ორმა დაუდგენელმა პირმა ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გააღებინეს მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის კარები და წაართვეს ინკასაციის დროს ამოღებული 149,828 ლარი და 220 დოლარი. ამის შემდეგ შეუკრეს ხელები, წაართვეს ავტომანქანის გასაღები, მობილური ტელეფონი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ

გამოძიების მსვლელობისას ჩატარდა ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებები, რა დროსაც გამოიკვეთა აღნიშნული დანაშაულის ჩამდენის ხერხი და მისი ჩამდენი პირები. როგორც გამოძიებით გაირკვა, წინასწარი შეთანხმებით სწრაფი ჩარიცხვის აპარატების ინკასატორმა 1985 წელს დაბადებულმა რ.ხ.-მ, მისი ნათესავის 1990 წელს დაბადებულ ლ. ზ.-ის მონაწილეობით დაგეგმეს ყაჩაღობის ინსცენირება და წინასწარ შერჩეულ ადგილზე, სადაც არ არის დამონტაჟებული ვიდეო-სათვალთვალო კამერები, გაითამაშეს დაყაჩაღების ფაქტი.

ჩადენილი დანაშაულისათვის, რ.ხ. სარფში სასაზღვრო-გამშვები პუნქტზე, ხოლო ლ.ზ. ქ.თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა საგამოძიებო ექსპერიმენტისას ლ.ზ.-ს საცხოვრებელი კორპუსის სარდაფში მითვისებული თანხის დიდი ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

შსს-მ კუკური ბარამიძეზე გავრცელებულ ვიდეომასალასთან დაკავშირებით მოკვლევა დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტრომ სოციალურ ქსელში მოქალაქე კუკური ბარამიძესთან დაკავშირებით გავრცელებულ ვიდეომასალაზე მოკვლევა დაიწყო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, მოკვლევა შეეხება იმას, თუ ვინ არის ვიდეოზე ასახული და რამდენად ავთენტურია ვიდეოკადრები.

სოციალურ ქსელში გავრცელებულ ვიდეოში ჩანს თუ როგორ აიძულებს რამდენიმე ადამიანი ნაცემ კუკური ბარამიძეს (იგივე დომენიკ მანგოს) ბოდიშის მოხდას იმ განცხადებების გამო, რომელიც მან პატრიარქისა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ გააკეთა.

ტარიელ არაშიძე 5.000-იანი გირაოთი გამოუშვეს

სასამართლომ ოზურგეთის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ტარიელ არაშიძე ნაციონალური მოძრაობის დეპუტატზე თავდასხმისთვის 5.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

ბრალდებული თავს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში მხოლოდ ნაწილობრივ ცნობს, თუმცა რა ნაწილში, ამას ტარიელ არაშიძე არ აკონკრეტებს.

მისი ადვოკატი ამბობს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი არ გაურბის პასუხისმგებლობას და განმარტავს, რომ მომხდარი სულიერ აღელვებას უკავშირდება.

– ცნობს თავს დამნაშავედ. სულიერი აღელვების ნიადაგზე მოხდა ეს ფაქტიო. არ გაურბის პასუხისმგებლობა, – განაცხადა ადვოკატმა თემურ ფუტკარაიამ.

სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა ენმ, რომელიც საპროტესტო აქციებს აანონსებს. დავით მჟავანაძე ამბობს, რომ ტარიელ არაშიძის გარდა ამ ინციდენტში კიდევ 4 ადამიანი მონაწილეობდა. ის მათ დასჯასაც მოითხოვს.

შემთხვევა ორი დღის წინ მოხდა. დაზარალებულის ინფორმაციით, მას „ქართული ოცნების“ კაბინეტში თავს დაესხნენ და თავის არეში ჭრილობები მიაყენეს. ბესო ქათამაძის მტკიცებით, მასზე ანგარიშსწორება სოციალურ ქსელში დაწერილი პოსტების გამო მოხდა.

მამია ბითაძის მკვლელობისთვის 1 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს და ხაშურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1970 წელს დაბადებული კ.ტ., განზრახ მკვლელობის ბრალდებით, დაბა სურამში დააკავეს.

მის მიერ ჩადენილი დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 29 მაისს დაბა სურამში, არსებული კონფლიქტის ნიადაგზე, სანადირო თოფიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა 1959 წელს დაბადებულ მამია ბითაძეს, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

ეჭვმიტანილი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი, სანადირო თოფი, ნივთმტკიცებად ამოიღეს. შემთხვევის ადგილიდან, ასევე ამოღებულია გასროლილი ტყვიის მასრაც.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

რუსა ამირეჯიბმა 130-ე სკოლას სასამართლო პროცესი მოუგო

სკოლა მიმი ჩინეკეს 1.000 ლარს გადაუხდის

ჭაბუა ამირეჯიბის შვილიშვილმა რუსა ამირეჯიბმა 130-ე სკოლას სასამართლო პროცესი მოუგო. საქმე ეხებოდა მის შვილთან დაკავშირებულ დისკრიმინაციის ფაქტს. იურიდიულ დახმარებას მათ „საფარი“ უწევდა.

„2016 წლის 8 თებერვალს, „საფარის“ ბენეფიციარმა მიმი ჩინეკემ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა. საქმე ეხებოდა რასობრივი კუთვნილების გამო შევიწროებას.

მიმი ჩინეკე იყო 130-ე სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე. იგი თანაკლასელებისა და სკოლის სხვა მოსწავლეების მხრიდან ხშირად ხდებოდა რასობრივი ნიშნით შევიწროების მსხვერპლი. აღნიშნულის შესახებ იცოდა მიმი ჩინეკეს დამრიგებელმა. მას ჰქონდა კლასელების შერიგების მცდელობა, თუმცა, მისი მხრიდან გატარებული ღონისძიებები ეფექტური არ აღმოჩნდა. დამრიგებელმა არ აუხსნა მოსწავლეებს რასიზმისა და მისი მავნებლობის შესახებ. საბოლოოდ, მომხდარმა ფაქტმა მიმი ჩინეკე აიძულა, გადასულიყო სკოლიდან, რადგან მიხვდა, რომ ასეთ მტრულ გარემოში სწავლას ვეღარ განაგრძობდა. მიმი ჩინეკეს დედის, რუსა ამირეჯიბის მხრიდან ახსნა-განმარტებების მოთხოვნის შემდეგ სკოლის ადმინისტრაციამ აქცენტი მიმი ჩინეკეს აკადემიურ მოსწრებაზე გააკეთა და მიმი ჩინეკეს შევიწროების ფაქტების მიმართ სკოლის პასუხისმგებლობა არ დაადასტურა.

მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ მის მიმართ განხორციელდა დისკრიმინაცია რასობრივი ნიშნით, ასევე კანის ფერის საფუძველზე, რითიც დაირღვა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული თანასწორობის პრინციპი. ასევე, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ მის მიმართ განხორციელებულმა შევიწროებამ მას ხელი შეუშალა განათლების უფლების განხორციელებაში და დაირღვა ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მუხლები.

სკოლის მიერ რასობრივი შევიწროების ფაქტების იგნორირებამ ხელი შეუშალა მიმი ჩინეკეს, მიეღო სრულფასოვანი განათლება და ძირითადად მისი ყურადღება მიპყრობილი იყო რასობრივი შეურაცხყოფისგან თავის დაცვისკენ.

მოსარჩელემ სასამართლოსაგან მოითხოვა დისკრიმინაციული ქმედების (უმოქმედობის) აღმოფხვრა და მორალური ზიანის სანაცვლოდ მოსარჩელისათვის 5.000 ლარის გადახდა. სარჩელში მითითებულია, რომ არასრულწლოვანისთვის განსაკუთრებით მტკივნეულია დისკრიმინაციული გარემოს შექმნა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. მოსამართლე ასმათ კოხრეიძემ მიიჩნია, რომ მოპასუხემ დაამტკიცა, რომ მას არ განუხორციელებია დისკრიმინაცია, ხოლო მოსარჩელემ ვერ შეძლო, წარმოედგინა ის მტკიცებულებები, რომელიც დისკრიმინაციის განხორციელების ვარაუდს შექმნიდა.

ეს გადაწყვეტილება „საფარმა“ თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

მოსამართლე ეკატერინე ცისკარიძის გადაწყვეტილებით, მიმი ჩინეკესთვის დისკრიმინაციის ფაქტით მიღებული მორალური ზიანის ანაზღაურება, 1.000 ლარის ოდენობით, სკოლას დაეკისრა“, – აღნიშნულია „საფარის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ნიუპოსტი

თანხის გამოძალვა ბათუმის კლუბებში

შსს-მ 2 პირი დააკავა და 3 პასუხისგებაში მისცა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტში მიმდინარე წლის 18 მაისს, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო გამოძიება ბათუმში არსებულ დისკოკლუბებში მოქალაქეებისთვის გაწეული მომსახურებასთან და პროდუქტის ღირებულებასთან შეუსაბამოდ მაღალი თანხის გამოძალვის ფაქტებზე.

გამოძიების ფარგლებში, მტკიცებულებათა მოპოვებისა და დანაშაულის ჩადენ პირთა მხილების მიზნით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე განხორციელდა შესაბამისი საგამოძიებო და ოპერატიული მოქმედებები, მათ შორის ფარული ვიდეო-აუდიო გადაღებები.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ჯგუფურად ჩადენილი გამოძალვის ბრალდებით სამართალდამცველებმა 1983 წელს დაბადებული რ.ი. და 1985 წელს დაბადებული თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე მ.ა. დააკავეს. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულებმა ბათუმში მდებარე ერთ-ერთ კლუბში, ძალადობის გამოყენების მუქარით, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეებს არარსებული მენიუს საფასურის, 730 ლარის გადახდა მოსთხოვეს, ერთ-ერთ მოქალაქეს კი ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანებაც მიაყენეს.

მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჯგუფურად ჩადენილი იძულების ბრალდებით, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეები: 1980 წელს დაბადებული ჰ.ი., 1986 წელს დაბადებული ჯ.თ. და უზბეკეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1990 წელს დაბადებული ა.შ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ჰ.მ., ჯ.თ. და ა.შ. ბათუმში, აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე კლუბში თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეებს 2.700 ლარის ოდენობით თანხის გადახდას აიძულებდნენ არარსებული მენიუსთვის.

გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი გამოძალვისა და ჯგუფურად ჩადენილი იძულების ფაქტებზე საქართველოს სსკ-ს 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ბუტა ანთაძის მკვლელობაში ბრალდებულ ბესიკ ტაკიძეს პატიმრობა შეეფარდა

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ქობულეთში, სოფელ მუხაესტატეს პოლიციის განყოფილების უფროსის მკვლელობაში ბრალდებულ ბესიკ ტაკიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. ბრალდებულმა გუშინ, 17 ივნისს, სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ დანის გამოყენებას პოლიციელის შეშინების მიზნით ცდილობდა და შემთხვევის დროს ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

მისივე განცხადებით, პოლიციელ ბუტა ანთაძესთან წლების განმავლობაში უთანხმოება ჰქონდა.

– დანით პოლიციელის შეშინება მინდოდა და არა – მოკვლა, – განაცხადა სასამართლოზე ბესიკ ტაკიძემ. ბრალდებულის თქმით, შემთხვევის დღეს მდინარეზე საქეიფოდ იმყოფებოდა. სახლში დაბრუნებისას საკუთარ სახლთან სამართალდამცავები დაინახა და მათთან გასაუბრებას შეეცადა.

როგორც ბრალდებული ამბობს, სამართალდამცავებს ნასვამ მდგომარეობაში რომ მიუახლოვდა, ბუტა ანთაძემ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და ტერიტორიის დატოვება სთხოვა. ბრალდებული ამბობს, რომ შეურაცხყოფის გამო, პოლიციელის შეშინება გადაწყვიტა, თუმცა გაუთვალისწინებელი შემთხვევა მოხდა.

– დაკავებისას იზოლატორში წყალს არ მასმევდნენ, საპირფარეშოშიც არ მიშვებდნენ. რასაც მედავებიან, არ ვეთანხმები. მეგობრებთან ერთად მდინარეზე ვიმყოფებოდი საქეიფოდ და დანა თან მქონდა წაღებული. უკან დაბრუნებისას გამოვედი სოფელ მუხაესტატეს ცენტრში, სადაც ხის გადატანა მიმდინარეობდა. სახლისკენ რომ მივდიოდი, ხალხმრავლობა დავინახე. პოლიციელებიც დავინახე და საუბარს შევეცადე. მოვიდა ბუტა ანთაძე და მითხრა, სახლში გაეთრიეო. შემაფურთხა, რის გამოც ავღელდი. ნერვებმოშლილმა დანა ავიღე და გამოვიყენე. შეშინება მინდოდა, ვიდრე მოკვლა. სამწუხაროდ, ეს ტრაგედია მოხდა, რის გამოც ძალიან ვწუხავრ და ვუსამძიმრებ ოჯახს, – განაცხადა ბესიკ ტაკიძემ.

პროკურორის ფრიდონ ქარცივაძის თქმით, ბრალდებულმა ბესიკ ტაკიძემ წინასწარ დაგეგმა და განზრახ მოკლა პოლიციელი ბუტა ანთაძე.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას დამამძიმებელ გარემოებაში გულისხმობს.

წინასასამართლო პროცესი ბათუმის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე წლის 7 აგვისტოს, 11:30 საათზე გაიმართება.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა

მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

კიევში ლგბტ-ს მონინააღმდეგეთა მიტინგი დაარბიეს

კიევის პოლიციამ სასტიკად დაარბია „თანასწორობის მარშის“ მონინააღმდეგეთა აქცია, რომელშიც უკრაინელი ნაციონალისტები, აგრეთვე რელიგიური აქტივისტები მონაწილეობდნენ.

– უკრაინის დედაქალაქში ცისფერთა აღლუმს არ დავუშვებთ! – აცხადებდნენ მარშის მონაწილეები.

სასტიკადაა ნაცემი 60-მდე ნაციონალისტი, 20-ზე მეტი ადამიანი დაკავებულია.

ავარია მოსკოვის ცენტრში

მოსკოვის ცენტრში ავარია მოხდა. ტაქსი ხალხის ნაკადში შეიჭრა. შედეგად დაშავდა მექსიკის 7 მოქალაქე. დაღუპულები არ არიან.

მძღოლმა შემთხვევის ადგილიდან მიმალვა ცადა, მაგრამ ის დააკავეს. შოფერი აღმოჩნდა ყირგიზეთის მოქალაქე, რომელიც მოსკოვში ცხოვრობდა.

დაკითხვაზე მან თქვა, რომ ავარია საგზაო წესების დარღვევამ გამოიწვია.

მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

ბრძოლები იემენში

იემენში გრძელდება ბრძოლები სამთავრობო ჯარებსა და ჰუსიტ პარტიზანებს შორის. ამ უკანასკნელთ მხარს უჭერს ირანი, იემენის ხელისუფლებას კი – იორდანია.

სამთავრობო ძალებმა ალყა შემოარტყეს საპორტო ქალაქ ჰოდეიდს. ესაა მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტი. სწორედ ჰოდეიდის პორტიდან შემოდის ტვირთი საზღვარგარეთიდან. სამთავრობო ძალებიც მის აღებას ცდილობენ, ჰუსიტები კი ქალაქის დათმობას არ აპირებენ.

ბრძოლები უკვე ქალაქის ქუჩებში მიმდინარეობს. ორივე მხრიდან დიდძალი მსხვერპლია.

ავსტრიას სამთა კავშირის აღდგენა სურს

ავსტრიის კანცლერმა სებასტიან კურცმა განაცხადა, რომ სურს სამთა კავშირის (ავსტრია, გერმანია, იტალია) აღდგენა. ასეთი კავშირი პირველ მსოფლიო ომამდე არსებობდა. ის ანტანტას (რუსეთი, საფრანგეთი, ინგლისი) უპირისპირდებოდა.

– ახლა სამთა კავშირი ემიგრანტების ტალღას უნდა დაუპირისპირდეს, – ამბობს კურცი.

ნიგერიაში ორი აფეთქების შედეგად 31 ადამიანი დაიღუპა

ნიგერიაში ორი აფეთქების შედეგად 31 ადამიანი დაიღუპა.

– თვითმკვლელი ტერორისტების ორი თავდასხმა მოხდა. შედეგად 31 ადამიანი დაიღუპა და რამდენიმე დაშავდა, – განაცხადა სახალხო ღაშქრის ლიდერმა ბაბაკურა კოლომ.

აღნიშნული ტერაქტის უკან შეიძლება რადიკალური ისლამისტური დაჯგუფება „ბოკო ხარამი“ იდგეს.

მაკედონიას ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკა ეწოდა

ათენსა და სკოპიეს შორის მრავალწლიანი დავა მაკედონიის სახელმწიფოს სახელწოდებასთან დაკავშირებით დასრულებულია.

ორმა ქვეყანამ ისტორიული დოკუმენტი გააფორმა. დღეიდან მაკედონიას ოფიციალურად ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკა ეწოდება.

ძველი სახელწოდების წინააღმდეგი საბერძნეთი იყო. ათენში აცხადებდნენ, რომ მაკედონია საბერძნეთის ისტორიული რეგიონის სახელწოდებაა და სხვა სახელმწიფოს ანალოგიური სახელი არ უნდა ერქვას. ეს დავა მაკედონიის რესპუბლიკის ევროსტრუქტურებში ინტეგრაციასაც აფერხებდა.

ისტორიული დოკუმენტის ცერემონია ორი ქვეყნის სასაზღვრო კურორტზე გაიმართა. შეთანხმების გაფორმებას ორი ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლები, ევროკავშირის უმაღლესი კომისარი და გაეროს სპეცწარმომადგენელი დაესწრნენ.

ტრამპი შესაძლოა პუტინს ზაფხულში შეხვდეს

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ რუსეთთან ურთიერთობებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს.

– თუ ჩვენ და რუსები საერთო ენას გამოვძებნით, ეს მართლაც შესანიშნავი იქნება, – თქვა პრეზიდენტმა.

ტრამპმა კვლავ გაიმეორა, რომ მიესალმება რუსეთის დაბრუნებას დიდ შვიდეულში.

– თუ რუსეთი მოლაპარაკების მაგიდასთან იჯდება, ეს მასთან დიალოგს გააადვილებს! – ამბობს ტრამპი.

ამავე დროს, აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთთან დიალოგი ცალმხრივ დათმობებს არ ნიშნავს. არავითარი გავლენის სფეროების გადანაწილებაზე საუბარი არ იქნება. რუსეთ-აშშ-ს შორის ურთიერთობების დათბობის უმთავრესი პირობაა ის, რომ მოსკოვმა სხვა ქვეყნების დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას პატივი უნდა სცეს.

– ეს უკრაინასაც შეეხება, რომლის ტერიტორიული მთლიანობის საკითხიც დღეს ესოდენ მწვავედ დადგა, – თქვა ამერიკის პრეზიდენტმა.

ტრამპმა აღნიშნა, რომ ყირიმის ანექსია უშუალოდ მისი წინამორბედის ბარაქ ობამას სინდისზეა. საქმე მხოლოდ ის როდია, რომ ობამამ პუტინთან საერთო ენა ვერ გამოძებნა. საჭირო იყო მეტი პრინციპულობა და სიხისტეც.

– ყირიმის ანექსიასთან შეგუება უდიდესი შეცდომა იყო, – განაცხადა ტრამპმა.

ტრამპი-პუტინის მომავალი სამიტი ექსპერტების ყურადღების ქვეშაა. როგორც ჩანს, კიმ ჩენ ინთან ურთიერთობის ნორმალიზების შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტი შეეცდება, რუსეთის მიმართაც იგივე მოიმოქმედოს. ამავე დროს, რიგი ფაქტორი რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობების დათბობას ეჭვქვეშ აყენებს. ესენია: რუსეთში არსებული ავტორიტარული რეჟიმი და ადამიანის უფლებების დარღვევა; სირიის დიქტატორ ასადის მხარდაჭერა; აგრესია უკრაინის წინააღმდეგ.

რუსი ექსპერტი, პროფესორი კურილკა, თვლის, რომ ახლო მომავალში პუტინ-ტრამპის შეხვედრა ნაკლებად რეალურია.

– ამის მიზეზი არა ვაშინგტონი, არამედ მოსკოვია! რადგან რუსეთი ცივილიზებული წესებით არ თამაშობს, აშშ-ს არ რჩება სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ მოსკოვზე ზეწოლა განახორციელოს! ვინც უნდა იყოს აშშ-ის პრეზიდენტი, ამის შეცვლას ის ვერ შეძლებს, – თვლის კურილკა.

ნიკოლ პაშინიანი პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გადადგომას გეგმავს

სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ პაშინიანი საარჩევნო კანონმდებლობის მიღების შემდეგ თანამდებობიდან გადადგომას გეგმავს. ამის შესახებ ქვეყნის მთავრობაში საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით ადგილობრივი გამოცემა „ჟამანაკი“ წერს.

„ნიკოლ პაშინიანს სექტემბერში რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება სურს. ახალი საარჩევნო კოდექსი პარლამენტში ამ დღეებში შევა, კენჭისყრაზე კი მას 15 ივლისამდე გაიტანენ. ახალი კოდექსის მიღების შემდეგ პაშინიანი პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გადადგომას გეგმავს“, – წერს გამოცემა.

გამოცემის წყაროს ინფორმაციით, პაშინიანს სურს, საპარლამენტო ფრაქციებმა პრემიერ-მინისტრის პოსტზე არც ერთი კანდიდატი არ წარადგინონ.

„თუ ორჯერ ზედიზედ პრემიერობის კანდიდატი არ დასახელდება, ეს გამოიწვევს პარლამენტის ავტომატურ დათხოვნას, რის შემდეგაც სექტემბერში ახალი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება“, – აცხადებს გამოცემის წყარო.

მანაფორტი წინასწარ პატიმრობაში აიყვანეს

დონალდ ტრამპის საარჩევნო შტაბის ყოფილი უფროსი, პოლ მანაფორტი, წინასწარ პატიმრობაში აიყვანეს. ეს სასამართლოს დარბაზში მოხდა. მანაფორტს მოწმეებზე ზემოქმედების მცდელობა დასდეს ბრალად.

მანაფორტი სასამართლოს წინაშე რუსებთან კავშირის გამო წარდგა.

სპეცპროკურორ მიულერის მიერ წარმოებულმა გამოძიებამ დაადგინა მისი კავშირი როგორც რუსეთის სპეცსამსახურებთან, ასევე უკრაინის ექსპრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩთან.

კონკრეტულმა მოწმეებმა ტრამპის შტაბის ყოფილი უფროსის წინააღმდეგ ჩვენება მისცეს. მანაფორტმა მათზე ზემოქმედება ცადა, რაც ძვირი დაუჯდა. ის დააპატიმრეს.

აშშ-ის კონგრესში უკრაინისთვის დახმარების გაზრდა მოითხოვეს

ამერიკელი კონგრესმენები უკრაინისთვის დახმარების გაზრდას მოითხოვენ. საუბარია 2019 წლის ბიუჯეტზე. კონგრესმენთა აზრით, უკრაინას ლეტალური იარაღის შესაძენად და თავდაცვის სფეროს სრულყოფისთვის 441 მილიონი დოლარი უნდა გამოუყონ.

ეს 2018 წელს გამოყოფილ თანხას 20 მილიონი დოლარით აღემატება.

„აღარ შემიძლია ამ ქალთან მუშაობა“

მერკელმა ზეეხოფერი დატანჯა

გერმანიის შს მინისტრი, ბავარიის „ქრისტიანულ-სოციალური კავშირის“ თავმჯდომარე ჰორსტ ზეეხოფერი სკეპტიკურად აფასებს თავისი მუშაობის პერსპექტივებს გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან.

– აღარ შემიძლია ამ ქალთან მუშაობა, – განაცხადა ჰორსტ ზეეხოფერმა „ქრისტიანულ-სოციალური კავშირის“ წევრებთან ბუნდესტაგში შეხვედრაზე.

გერმანიის შს მინისტრმა აღნიშნული ფრაზა ორჯერ გაიმეორა.

„ქრისტიანულ-სოციალურ კავშირსა“ და „ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირს“ შორის კონფლიქტი არალეგალური მიგრაციის პრობლემის გადაჭრას უკავშირდება. გერმანიის კანცლერი და „ქრისტიან-დემოკრატები“ ამ პრობლემის გადაჭრას ევროკავშირის დონეზე უჭერენ მხარს, ხოლო ბავარიის „ქრისტიანულ-სოციალური კავშირი“ დაჟინებით ითხოვს, რომ დოკუმენტების გარეშე მიგრანტები ან ის პირები, რომლებსაც გერმანიაში თავშესაფარზე უარი ეთქვათ, გერმანიის საზღვრიდან გააბრუნონ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

სხვადასხვა

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

● სილამაზის სალონს ესაჭროება გამოცდილი ქალის სტილისტი, მანიკური/პედიკურის სპეციალისტი და კოსმეტოლოგი. მის. ბორჯომის ქ. 6 (დეზერტირების ბაზართან). ტელ: 597050903; 558153660.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალი ნანა პაიჭაძე საგგარეულო მალამოთი ეფექტურად მკურნალობს: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრის, მუხლსახსრების ართროზს, დისკოზს, ნერვის ანთებას, ტერფისა და ქუსლების ტკივილს, ურთულეს დაავადებას ჰაიმორიტს. მის პაციენტთა შორის იყვნენ ცნობილი ადამიანები – აკადემიკოსი ანზორ შავგულიძე, მსახიობი ჯემალ ღაღანიძე, ტელეწამყვანი გიორგი გოგიჩაიშვილი და მრავალი სხვა. მის: თევდორე მღვდლის ქუჩა №48. ტელ: 593-00-08-26; 599-54-64-81.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულსისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზი, ოსტეოქონდროზი, ოსტეოართროზი, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

მუნდიალი გახურდა – ცოცხალი და მკვდარი მატჩები რუსეთში

მაროკო-ირანი 0:1

სანკტ-პეტერბურგი. სანკტ-პეტერბურგი

0:1 აზიზ ბუჰადუზი (90სკ)

მაროკო: ელ ქაჯუი, ჰაკიმი, ბენატია, საისი, ზიეიხჩი, ელ აჰმადი, ელ ქააბი (ბუჰადუზი 77), ბელანდა, ბუსუფა, ნ.ამრაბატი (ს.ამრაბატი 76), ამინ ჰარიტი (და კოსტა 82)

ირანი: ბეირანვანდი, ჰაისაფი, ჩეშმი, შოჯაი (ტარემი 68), პურლიგანჯი, ებრაჰიმი (მონთაზერი 79), ანსარიფარდი, ამირი, ჯახანბახში (გოდოსი 85), აზმუნი, რევაზანი

მსოფლიო ჩემპიონატის ბ ჯგუფის პირველ შეხვედრაში, რომელშიც მაროკო და ირანი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, საოცრად დაძაბულ შეხვედრაში აფრიკელებმა ბოლო წამებზე 1:0 იმარჯვეს. ირანელებს მსოფლიო ჩემპიონატზე 1998 წლის შემდეგ არ ჰქონდათ მოგებული და ეს უსიამოვნო სტატისტიკა სანკტ პეტერბურგში შეწყვიტეს.

მატჩი აფრიკელთა უპირატესობით დაიწყო და რამდენიმე რეალური საგოლე მომენტიც ჰქონდათ, თუმცა, ალი ბეირანვანდის კარის აღება ვერ მოახერხეს. კარლუშ კეირუშის ფეხბურთელებმა შეძლეს მაროკოელთა საწყისი აქტიურობის მოგერიება და თამაშის გათანაბრებაც მოახერხეს. ირანელთაგან ძალიან სახიფათო კარომ აჰსარიფარდის კონტრშეტევა იყო, მაგრამ ირანელთა შემტევმა ნახევარმცველმა დარტყმა ვერ მოახერხა. პირველი ნახევრის ბოლო წუთებზე ირანელებს გოლის გატანის 100%-იანი შანსი ჰქონდათ: სერდარ აზმუნი მეკარესთან პირისპირ დარჩა, თუმცა, მუნირ ელ ქაჯუიმ საოცარი რეაქცია გამოავლინა და საკუთარი გუნდი აშკარა გოლისგან იხსნა.

მეორე ნახევარი საკმაოდ ნელ ტემპში წარიმართა და შეხვედრამ მოსაწყენი ხასიათიც მიიღო. მატჩის მიმდინარეობისას იგრძნობოდა, რომ ზედმეტად არც ერთი გუნდი არ აპირებდა გარისკვას და რაც უფრო ცოტა დრო რჩებოდა მატჩის დასრულებამდე გუნდების მოქმედებებში მეტი სიფრთხილე შეიმჩნეოდა.

მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროს ირანელებმა ჯარიმის შესრულების შესაძლებლობა მიიღეს, რის შემდეგაც აზიზ ბუჰადუზმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა და კარლუშ კეირუშის გუნდა 3 ქულა მოაპოვებინა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე – **ალი ბეირანვანდი**

აუცილებლად უნდა გამოვყოთ ირანელთა მეკარის ალი ბეირანვანდის თამაში, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში ძალიან დამაჯერებლად მოქმედებდა და რამდენჯერმე გუნდი აშკარა გოლისგანაც იხსნა. პირველ ტაიმში ბენატიას აუღო, მეორეში – ზაიეიხჩის.

პორტუგალია-ესპანეთი 3:3

სოჭი. ფიშტი

1:0 რონალდუ (4პ), 1:1 კოშტა (24), 2:1 რონალდუ (44), 2:2 კოშტა (55), 2:3 ნაჩო (58), 3:3 რონალდუ (88)

პორტუგალია: პატრისიუ, გერეირო, ფონტე, პეპე, სოარეში, კარვალიუ, მოუტინიუ, ფერნანდეში (მარიუ 68), გუედეში (ან.სილვა 79), ბ.სილვა (კვარეჟმა 69), რონალდუ

ესპანეთი: დე ხეა, ნაჩო, პიკე, რამოსი, ალბა, ბუსკეტსი, კოკე, ინიესტა (ალკანტარა 70), ისკო, დ.სილვა (ვასკესი 86), კოშტა (ასპასი 77)

ეს მუნდიალია – სუპერთამაში სუპერგუნდების შესრულებით. ყველაფერი იყო ამ მატჩში, ის რაც ფეხბურთს უხდება. პორტუგალიამ და ესპანეთმა დაგვანახეს, რომ რუსეთში მარტო საუდის არაბეთი არ არის ჩასული.

საწყის წუთებში პორტუგალიამ ბურთი დაუჭირა ესპანეთს და უკვე მე-3 წუთზე კრიშტიანუ რონალდუმ თავის თანაგუნდელს კლუბში, ნაჩოს, პენალტი გამოსტყუა. 11 მეტრიდან ვინ დაარტყამდა, თუ არა თავად რონალდუ და ზუსტადაც – 1:0.

გატანილი გოლის შემდეგ პორტუგალიამ ბურთი ესპანელებს გადააბარა, მაგრამ მწვავედ გადადიოდა კონტრშეტევებზე. თუმცა, მომენტი ესპანელებს ჰქონდათ, როდესაც კოშტა ცდილობდა გატანას, მაგრამ მიზანმა უმტყუნა. დავიდ სილვასაც შეექმნა მომენტი, როდესაც ანდრეს ინიესტამ ხელსაყრელ სიტუაციაში დატოვა, მაგრამ მის დარტყმულს მცველები გადაეფარნენ.

კონტრშეტევებზე კრიშტიანუმ ორჯერ კარგად გაიყვანა გუედეში, მაგრამ პორტუგალიელმა შეტევის გაგრძელება ვერ ნახა.

ჰოდა, დაისაჯა კიდეც: კოშტამ ორთაბრძოლა მოუგო პეპეს, საჯარიმოში 2 მცველის წინააღმდეგ კარგი მოძრაობები გააკეთა და მცველის ფეხიდან საგოლედ დაურტყა პატრისიუს – 1:1.

პორტუგალია ერთხელაც გადარჩა, როდესაც ისკოს ყუმბარისებური გასროლა ხარიხიდან ხაზზე დაეცა. არც ინიესტას გაუმართლა, როდესაც მცირედით ააცილა კარს.

თუმცა, პირველ ტაიმს ფრედ დასრულება არ ეწერა – რონალდუმ საჯარიმოს გარედან დაარტყა და დავიდ დე ხეამ პორტუგალიას გოლი აჩუქა – 2:1.

მეორე ტაიმში ტემპმა ოდნავ იკლო. ესპანეთი ბურთს აკონტროლებდა, მაგრამ რაიმე ხიფათის შექმნას ვერ ახერხებდა. პორტუგალია მწყობრად იცავდა თავს. თუმცა, ინიესტას წაქცევისთვის დანიშნული სტანდარტი შესანიშნავად გაითამაშეს ესპანელებმა და დუბლი უკვე კოშტამ მიითვალა.

გავიდა 3 წუთი და ნაჩომ ისეთი დააქუხა საჯარიმოს გარედან, რომ მისი ამღები ყველა პორტუგალიელი მეკარე ერთად არ იქნებოდა. ამასთან, ბურთი ჯერ ერთ ძელს მოხვდა, შემდეგ მეორეს და ისე შევარდა პატრისიუს კარში.

თამაში ისევ მიწყნარდა, ესპანელები ბურთის კონტროლს აგრძელებდნენ, პორტუგალია კი ვერაფერ სახეიროს ქმნიდა. თუმცა, 88-ე წუთზე რონალდუს ჯარიმის შანსი მიეცა და პორტუგალიელმაც უზადოდ შეასრულა და მიმდინარე მუნდიალზე პირველი ჰეთ ტრიკი შეასრულა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **კრიშტიანუ რონალდუ**

3 გოლით გახსნა პორტუგალიელმა მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატი და ყველას დაანახა, რომ მსოფლიოს უდიდეს ფორუმზე და უდიდეს გუნდებთანაც შეუძლია გატანა. პენალტით, ჯარიმით, თამაშიდან – საიდანაც მოახერხა, იქიდან გაიტანა.

საფრანგეთი-ავსტრალია 2:1

ყაზანი. ყაზან არენა

1:0 გრიზმანი (58პ), 1:1 იედინაკი (62პ), 2:1 პოგბა (81)

საფრანგეთი: ლორისი, ლუკასი, უმტიტი, ვარანი, პავარდი, ტოლისო (მატუიდი 78), კანტე, პოგბა, გრიზმანი (ჟირუ 70), მბაპე, დემბელე (ფეკირი 70)

ავსტრალია: რაიანი, ბეჰიჩი, სეინსბერი, მილიგანი, რისდონი, მუი, იედინაკი, როგიჩი (ირვინი 72), კრუზი (არზანი 84), ნაბუტი (იურიჩი 64), ლეკიე

ფრანგებმა ისე დაიწყეს თამაში, როგორც ჩემპიონატის ფავორიტს შეჰფერის. რვა წუთში მეტიუ რაიანს უკვე 4 სეივის ჰქონდა. ისე შთაბეჭდილება იქმნებოდა, „მამლები“ „მოგუდავდნენ“ მეტოქეს. თუმცა, საწყისმა ეიფორიამ მალევე გაიარა, ავსტრალიამ თამაში დაალაგა და ფრანგები თავად გადაურჩნენ გოლს, როდესაც სტანდარტის შემდეგ, კორენტინ ტოლისო საკუთარ კარში გზავნიდა ბურთს, მაგრამ უგო ლორისმა გამოასწორა თანაგუნდელის შეცდომა.

ტაიმის დარჩენილი დრო დაბალ ტემპში და უღიმღამო თამაშში გაილია...

მეორე ტაიმიც პირველის დასასრულის მსგავსი იყო, ნელი ტემპი და ნაკლები ხიფათი ორივე გუნდის კართან. ერთხელ „აფეთქდა“ საფრანგეთი და ხიფათიც შემქნა. თუმცა, ამის გასარკვევად ვიდეორეფერი გახდა საჭირო, რომელმაც ანტუან გრიზმანის პირისპირ გასვლა და წაქცევა პენალტად შეაფასა და 11 მეტრიდან თავად დაზარალებულმა დაარტყა – 1:0.

თითქოს ფრანგებს გზა უნდა გახსნოდათ მოგებისკენ, მაგრამ 4 წუთში სამუელ უმტიტიმ საკუთარ საჯარიმოში უწყინარ სიტუაციაში ხელით ითამაშა და მილე იედინაკმა, 11-მეტრიანით ანგარიში გაათანაბრა.

3 ქულის ასაღებად დიდიე დეშამმა ორმაგ შეცვლას მიმართა, მაგრამ ჟირუ-ფეკირის დუეტს ბევრი არაფერი გაუკეთებია. მოგვიანებით, საფრანგეთმა მაინც შეაგდო. ბურთი პოლ პოგბამ გაიტანა – საჯარიმოს წინ მოკლე პასები და ცოტა უცნაური დარტყმა, რომელიც ხარიხიდან ჩაეშვა კარში.

საბოლოოდ, საფრანგეთმა დაგეგმილი 3 ქულა მიითვალა, მაგრამ რთული თამაში გამოდგა ფავორიტისთვის.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **ნგოლო კანტე**

ფრანგთა საყრდენმა ნახევარმცველმა დიდი სამუშაო გაწია მოედნის ცენტრში. გადაკეტილი ჰქონდა ყველა ზონა და ავსტრალიელებს მისი ბარიერის დაძლევა უჭირდათ.

არგენტინა-ისლანდია 1:1

მოსკოვი. სპარტაკი

1:0 აგუერო (19), 1:1 ფინბოგასონი (24)

64-ე წუთზე მესიმ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

არგენტინა: კაბალიერო, სალვინო, ოტამენდი, როხო, ტალიაფიკო, მასკერანო, ბილია (ბანეგა 54), მესა (იგუაინი 84), მესი, დი მარია (პავონი 75), აგუერო

ისლანდია: ჰალდორსონი, მაგნუსონი, რ.სიგურდსონი, არნასონი, სევარსონი, ჰალფრედსონი, გუნარსონი (სკულასონი 76), ბაიარნასონი, გ.სიგურდსონი, გუდმუნდსონი (გისლასონი 63), ფინბოგასონი (სიგურდასონი 89)

ისლანდიის ნაკრებმა დაამტკიცა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ტყუილად არ გასულა. მუნდიალის დებიუტანტებმა ბოლომდე იბრძოლეს და ისტორიული ქულაც დადეს. არადა, მესის და კომპანიის წინააღმდეგ თამაში და თანაც ქულის აღება, იოლი საქმე არ არის.

მე-19 წუთზე მარკუს როხო კარში დარტყმას ცდილობდა, სწორედ ამან დააბნია ისლანდიელი მცველები, რომლებმაც უყურადღებოდ დატოვეს სერხიო აგუერო, რომელსაც როხოსგან „პასი“ მიუვიდა და არგენტინელმაც შესანიშნავად დაასრულა შეტევა.

მალევე ისლანდიამ შეუტია, რამდენიმეფაზიანი შეტევა, ქაოსურად მოთამაშე არგენტინელი მცველები, ალფრედ ფინბოგასონმა მეკარიდან გამოვარდნილ ბურთს დაამატა და ისლანდიის ისტორიაში პირველი სამუნდიალო გოლი გაიტანა.

ისლანდიას ტაიმიც მოგებაც შეეძლო, მაგრამ ბოლო წუთზე ურეალურესი მომენტი გაანიავა.

მეორე ტაიმში ბურთს არგენტინა აკონტროლებდა, შეტევითაც უტევდა, მაგრამ ისლანდიამ ისეთი ზღუდე აღმართა კარის წინ, მასი გადალახვა შეუძლებელი იყო. 63-ე წუთზე მაქსიმილიანო მესა გაეპარათ მცველებს და ისინი იძულებულნი გახდნენ, წესების დარღვევით შეეჩერებიათ. პენალტი მესიმ დაარტყა, მაგრამ ჰანეს ჰალდორსონმა აუღო.

მესიმ შეცდომის გამოსწორება 82-ე წუთზე სცადა, როდესაც შორიდან კარგად დაარტყა, მაგრამ ბურთი მცირედით ასცდა კარს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **ჰანეს ჰალდორსონი**

ისლანდიელთა ისტორიულ ქულაში ყველაზე დიდი წვლილი მათმა მეკარემ შეიტანა. მთელი თამაშის განმავლობაში დამაჯერებლად მოქმედებდა, ხოლო 64-ე წუთზე მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელ ლეო მესის პენალტიც აუღო.

პერუ-დანია 0:1

სარანსკი. მორდოვია

0:1 პოულსენი (59)

45-ე წუთზე კრისტიან კუევამ ვერ გაიტანა თერთმეტმეტრიანი (ააცილა)

პერუ: გალესე, ტრაუკო, როდრიგესი, რამოსი, ადვინკულა, იუთუნი, ტაპია (აკინო 87), ფლორესი (გერერო 62), კუევა, კარილო, ფარფანი (რუდიაზი 85)

დანია: შმეიხელი, დალსგაარდი, კიაერი, კრისტიანსენი (ზანკა 81), ლარსენი, კვისტი (შონე 35), ერიკსენი, დენალეი, სისტო (ბრაითვეითი 67), იორგენსენი, პოულსენი

პერუსა და დანიის ეროვნული გუნდების შეხვედრა სანახაობრივი კი გამოდგა, მაგრამ მაყურებელმა მხოლოდ ერთი გოლი იხილა, რომელმაც 3 ქულა სკანდინავიელებს მოუტანა.

მატჩის პირველი ტაიმი სწრაფ ტემპში მიმდინარეობდა. სკანდინავიელები პირველივე წუთიდან ცდილობდნენ ბურთზე კონტროლის დამყარებას, თუმცა სამხრეთ ამერიკელებმა შეტევაზე ორიენტირებული ფეხბურთი დაუპირისპირეს და ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ.

45-ე წუთზე გარეკას შეგირდებს თერთმეტმეტრიანის გამოყენება მართებდათ, რომელიც ისევ ვიდეორეფერის გამოყენებით იქნა დანიშნული. თუმცა, კუევამ შმეიხელს ვერ გაუტანა და გუნდები შესვენებაზე ნულოვანი ფრით გავიდნენ.

მეორე ტაიმში დანიის ნაკრებმა ტემპს უმატა და იუსუფ პოულსენმა 59-ე წუთზე კრისტიან ერიქსენის პასით სკანდინავიელების დაწინაურება შეძლო. გატანილი გოლის შემდეგ, სკანდინავიელები ძირითადად ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნავდნენ და გალესეს კარის მიმართულებით იშვიათად ურტყამდნენ.

სამხრეთამერიკელებმა მატჩის გადარჩენა სცადეს და საკმაოდ მწვავედაც უტევდნენ. ერთ-ერთ მომენტში პერუს ფეხბურთელებს ცარიელ კარში შეეძლოთ გოლის გატანა, თუმცა ბოლო მომენტში შმეიხელმა ივარგა. აღნიშნული შეტევიდან ორიოდე წუთში შეცვლაზე შემოსულ გერეროს საოცარი გოლის გატანა შეეძლო, თუმცა ბურთი კასპერის კარს მცირედით ასცდა. მატჩის 82-ე წუთზე ჯეფერსონ ფარფანს შეეძლო წონასწორობის აღდგენა, თუმცა ლესტერის გოლკიპერს მანაც ვერაფერი მოუხერხა.

განსაკუთრებით დაძაბული აღმოჩნდა მეორე ტაიმის ბოლო 5 წუთი. სხვაობის ორამდე გაზრდა ერიქსენს შეეძლო, თუმცა ამჯერად საკუთარი გუნდის გადარჩენა გალესემ შეძლო. საბოლოოდ მატჩის ბედი 59-ე წუთზე გატანილმა გოლმა გადაწყვიტა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **კასპერ შმეიხელი**

რომ არა დანიელთა მეკარე, არავინ იცის, დარჩებოდათ თუ არა გამარჯვება სკანდინავიელებს. შმეიხელმა რამდენჯერმე იხსნა თავისი კარი და დანიელთა მოგებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

ხორვატია-ნიგერია 2:0

კალინინგრადი. კალინინგრადი

1:0 ეტობო (32სკ), 2:0 მოდრიჩი (72პ)

ხორვატია: სუბაშიჩი, ვრსალკო, სტრინიჩი, პერიშიჩი, ლოვრენი, რაკიტიჩი, კრამარიჩი (ბროზოვიჩი 59), მოდრიჩი, მანჯუკიჩი (პიაცა 85), რებიჩი (კოვაჩიჩი 78), დომაგოი ვიდა

ნიგერია: უზოჰო, იდოვუ, ნდიდი, ეკონგი, ბალოგუნი, ეტებო, იგალო (იჰეანაჩო 73), ობი მიკელი (ნვანკვო 87), მოზესი, შეჰუ, აივობი (მუსა 62)

ხორვატებმა რუსეთის მუნდიალზე გამოსვლა გამარჯვებით დაიწყეს. ბალკანელებმა ნიგერია დამაჯერებლად 2:0 დაამარცხეს და პირველი ტურის შემდეგ დ ჯგუფშიც გალიდერდნენ.

პირველ ტაიმში ბურთი ცენტრში არ ჩერდებოდა და ორივე გუნდი შეტევების ორგანიზებას ცდილობდა, თუმცა, მომენტების შექმნა ჭირდა. პირველი ხიფათი ბალკანელებმა შექმნეს: რებიჩისა და მანჯუკიჩის კარგი თამაშის შემდეგ კრამარიჩი ურტყამდა მეტოქის კარის მიმართულებით, მაგრამ მცირე მანძილით ასცდა ნიგერიელთა კარს.

შეხვედრაში ანგარიში 32-ე წუთზე გაიხსნა. ლუკა მოდრიჩის ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ მარიო მანჯუკიჩი ურტყამდა კარის მიმართულებით, ბურთი გზად ეტობოს მოხვდა და ნიგერიელთა კარის ბადეში აღმოჩნდა.

მეორე ნახევარი აფრიკელებმა აქტიურად დაიწყეს. გამორჩეულად ვიქტორ მოზესი აქტიურობდა, თუმცა, განსაკუთრებული ხიფათი სუბოშიჩის კართან არ შექმნილა. დალიც ზლატკოს გუნდმა მეორე ნახევარში ანგარიშის შენარჩუნებაზე გააკეთა აქცენტი. ხორვატებმა დაუთმეს მეტოქეს სათამაშო ინიციატივა და თავად კონტრშეტევებზე ცდილობდნენ თამაშის აწყობას.

მეორე ტაიმში ხორვატთა ერთ-ერთ იშვიათ შეტევას გატანილი გოლიც მოჰყვა. მოდრიჩის კუთხურის შემდეგ საკუთარ კარში გოლის ავტორმა ეკონგმა მარიო მანჯუკიჩის წინააღმდეგ თამაშის წესების დარღვევით ითამაშა და შეხვედრის მთავარმა არბიტრმა, სანდრო რიჩიმ, პენალტის ნიშნულისკენ მიუთითა. 11-მეტრიანი ზუსტად ბალკანელთა კაპიტანმა ლუკა მოდრიჩმა შეასრულა და მატჩის საბოლოო ანგარიშიც დაიფიქსირა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე – **მარიო მანჯუკიჩი**

გუშინდელ შეხვედრაში ხორვატის ნაკრების ფორვარდი მარიო მანჯუკიჩი უნდა გამოვარჩიოთ. ხორვატმა ძალიან დიდი სამუშაო შეასრულა. საკმაოდ კარგი იყო შეტევით წინა ხაზში. პირველი გოლის მისი აქტიურობის ხარჯზე გავიდა, მეორეც მის წინააღმდეგ დარღვეულ თამაშის წესს მოჰყვა. მანჯუკიჩი არც დაცვითი ფუნქციების შესრულებას ერიდებოდა და სტანდარტულების დროს ხორვატ ცენტრალურ მცველებს ძალიან ეხმარებოდა.

მოამზადა მანუელ ჟორჟოლიანმა

საქართველო ფიჯისთან მეორე ტაიმში დამარცხდა

ფიჯი-საქართველო 37:15

ბორჯღალოსნებმა ფიჯის სუვაში გამართული მატჩის პირველ ტაიმში ორი ლელო გაუტანეს და შესვენებაზე 5-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ, თუმცა მსოფლიო რაგბის რეიტინგში მე-9 ადგილზე მყოფმა მასპინძლებმა მეორე ტაიმში თამაშში გარდატეხა შეიტანეს და 37:15 იმარჯვეს.

ეს იყო 2018 წლის წყნარი ოკეანის თასის ფინალური შეხვედრა, რომლის გამარჯვებული თასს ეუფლებოდა და მასპინძლებმა ამ გამარჯვებით ტიტული ზედიზედ მეოთხედ დაისაკუთრეს.

უძლიერესი შემადგენლობით მოთამაშე, ვარსკვლავებით დახუნძლულ მეტოქეს 2012 წლიდან მესამედ ვეთამაშეთ და პირველად გავუტანეთ ორი ლელო, თუმცა ურთიერთშეხვედრების ბალანსში 1:2 ჩამოვრჩით. ამ ჩამორჩენის აღმოფხვრის შანსი ერთი წლის შემდეგ გვექნება, როდესაც ფიჯის 2019 წლის მსოფლიო თასზე იაპონიაში, ოსაკაში 3 ოქტომბერს შევხვდებით.

საქართველოს ნაკრებმა პირველი 40 წუთი კარგად ჩაატარა, მეტოქეს გასაქანი არ მისცა, მე-10 წუთზე ჯარიმის შესრულების უფლება მოიპოვა და სოსო მათიაშვილმა ანგარიში გახსნა. მომდევნო 5 წუთში 2 შეცდომა დავუშვით, რითაც კარგად ისარგებლა ჰენრი სენილოლიმ და 2 ლელო გაიტანა, თუმცა ბორჯღალოსნები არ გატყდნენ და მასპინძლებს სწრაფად უპასუხეს.

რადგან მათიაშვილს გასატანი პოზიციიდან ჯარიმა გაუცუდდა, 23-ე წუთზე ლაშა მალაღურაძემ ბურთი აუტში ძალიან კარგად გადაიტანა, 5-მეტრა დერეფნიდან კარგი მოლი ავაგორეთ და ვიტო კოლელიშვილის ლელო მათიაშვილმა გარდასახა. მალაღურაძემ აუტში კიდევ ორჯერ კარგად დაარტყა, თუმცა მოლის დაყენება ვეღარ მოხერხდა და ტაიმის ბოლოს საქართველომ სხვა ხერხს მიმართა. ბურთზე კონტროლის დამყარებისა და ტემპის მომატების შემდეგ, მეტოქის დაცვაში

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ბექჰემის „ორეულმა“ ათასობით ფუნტი პლასტიკურ ოპერაციებს შეალია და უსახლკაროდ დარჩა

უმუშევარმა ბრიტანელმა, რომელიც პლასტიკური ოპერაციების დახმარებით ცდილობდა, ფეხბურთელ დევიდ ბექჰემს დამსგავსებოდა, გადაწყვიტა, ისევ შეიცვალოს გარეგნობა.

ჯეკ ჯონსონმა დიდ ბრიტანეთში სახელი მას შემდეგ გაითქვა, როდესაც 2016 წელს ის ტელევიზიაში გამოჩნდა. მისი თქმით, ის ოცნებობდა, ბექჰემს დამსგავსებოდა და პლასტიკურ ოპერაციებში დაახლოებით 20 ათასი ფუნტი სტერლინგი დახარჯა. ვინაიდან ჯონსონი უმუშევარი იყო, პროცედურების თანხას სახელმწიფო დახმარებიდან ფარავდა.

21 წლისთვის ახალგაზრდას ვალის სახით 30 ათასი ფუნტი სტერლინგი დაუგროვდა. 2017 წელს მან მორიგ ოპერაციას უკანასკნელი თანხები მიახარჯა, რის გამოც ბინის ფულის გადახდა ვეღარ შეძლო და საცხოვრებლის გარეშე დარჩა. ახლა მას ღამის გათევა ნაცნობებთან უწევს. მიუხედავად მნიშვნელოვანი დანახარჯებისა, ის ბექჰემს გარეგნულად მაინც ვერ დაემსგავსა.

– ბოლო თვეებში საკუთარი თავის ძიებით ვიყავი დაკავებული და ახლა მსურს, რომ ბრუკლინ ბექჰემს დავემსგავსო, – განაცხადა ჯონსონმა, რომელსაც მხედველობაში ფეხბურთელის 19 წლის შვილი ჰყავს, – რა თქმა უნდა, დევიდი ძალიან მომხიბვლელია, მაგრამ ის ბერდება, მე კი უფრო ახალგაზრდული გარეგნობა მჭირდება.

მან ამ საქმისთვის უკვე დახარჯა 9 ათასი ფუნტი სტერლინგი და შედეგით კმაყოფილია.

მიმავალი მანქანიდან გადმოვარდნილი ამერიკელი ცოცხალი გადარჩა

ამერიკელი გადმოვარდა მიმავალი მანქანიდან, რომელიც გადახდის ჯიხურს შეეჯახა და ცოცხალი გადარჩა.

ავარია ფლორიდის შტატის ქალაქ ორლანდოს შესასვლელთან მოხდა. ავტომობილის მძღოლს 23 წლის სტივენ დონ სანტოს საჭესთან ჩაეძინა და ამის შედეგად მანქანის მართვა დაკარგა. მისი ოთხი მგზავრიდან ერთ-ერთი, 25 წლის მამაკაცი შეჯახების შედეგად მანქანის ფანჯრიდან გადმოვარდა და რამდენიმე მეტრის მოშორებით დაეცა.

შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ გამოცხადდა სასწრაფო დახმარება. მანქანის ყველა მგზავრი საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, თუმცა მალევე გამოწერეს, ვინაიდან მსუბუქი დაზიანებები მიიღეს. მძღოლს გაფრთხილება მიეცა უგულისყუროდ მანქანის მართვისთვის.

ბრიტანელმა ბებიამ ძველმანებში 100 ათას ფუნტად ღირებული მონეტა აღმოაჩინა

დიდ ბრიტანეთში მოხუცებული ქალბატონი აპირებდა, გადაეგდო კოლოფი, რომელშიც ძველი მონეტები ეწყო და სახლის სხვენში იყო შენახული, მაგრამ ბოლო მომენტში გადაწყვიტა, ის ექსპერტისთვის შეეფასებინა. მან კი აღმოაჩინა, რომ ერთ-ერთი მათგანის ფასი 100 ათასი ფუნტ სტერლინგს შეადგენს.

69 წლის ქალბატონმა, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა, მონეტა მემკვიდრეობით საკუთარი ბაბუასგან მიიღო. მას თავდაპირველად მისი გადაგდება სურდა, მაგრამ შვილიშვილების დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ გადაწყვიტა, ანტიკავარიატების ვებგვერდზე უფასოდ შეეფასებინა სხვა ნივთებთან, მათ შორის ჩაის სერვისთან და ბიჟუტერიასთან ერთად.

ვებგვერდის ექსპერტებმა მას აუხსნეს, რომ მონეტა 1644 წელს იყო დამზადებული, მეფე კარლ I-ს დროს და ვინაიდან ის ძალიან კარგად იყო შემონახული, მისი აუქციონზე გატანა შეიძლებოდა. ნუმიზმატური იშვიათობაში 100 ათას ფუნტზე მეტი თანხის მიღებას გეგმავენ.

ვებგვერდის მთავარმა შემფასებელმა ენტონი ჩარმანმა აღნიშნა, რომ მოხუცის მიერ ნაპოვნი ყველა დანარჩენი ნივთები 150 ფუნტად იქნა შეფასებული.

– ის ამითაც კმაყოფილი იყო, თუმცა ვერ მიხვდა, თუ რატომ ვესტუმრეთ სახლში, მაგრამ, როდესაც მას მონეტის ფასი ვუთხარით, კინაღამ სკამიდან გადავარდა, – განაცხადა ჩარმანმა.

ბრიტანელი ბებია მიღებული თანხით სამოგზაუროდ წასვლასა და ასევე ფეხმძიმე შვილიშვილისთვის იპოთეკის საკითხის მოგვარებას აპირებს.

შერიფის თანაშემწემ გველი ტუალეტიდან შიშველი ხელებით ამოიყვანა



ამერიკის ტეხასის შტატში შერიფის თანაშემწემ შიშველი ხელებით ამოიყვანა გველი ტუალეტიდან. ამ ინფორმაციას ნიუ იორკ პოსტი ავრცელებს.

შეშინებულმა ამერიკელმა ვეიდ ვილოკმა სააბაზანო ოთახის დალაგების დროს ინდიგოს ჯიშის შხამიანი გველი აღმოაჩინა.

– მივტრიალდი და დავინახე, თუ როგორ იწევდა ფანჯრისკენ დაახლოებით ერთი მეტრი სიგრძის გველი. მან ისე შემაშინა, რომ ალბათ ექვსი წლის სიცოცხლე მაინც დამაკლდა, – განაცხადა მამაკაცმა.

ვილოკი სააბაზანოდან გამოვარდა და ისე მიაჯახუნა მისი კარი, რომ საკუთარი ექვსი წლის შვილი ნოკაუტში ჩააგდო.

მან პოლიციაში დარეკა. შემთხვევის ადგილზე შერიფის თანაშემწე ლინდსეი სკოტენი მივიდა და გველი ტუალეტიდან ყოველგვარი ხელსაწყოების გარეშე გამოიყვანა. რეპტილია არ დაშავებულა და ის შემდეგ ბუნებაში გაუშვეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



1. სასმისი; 2. ქართული გაზეთი; 3. რასელ ...; 4. პირბადე; 5. ვულკანიდან ამონთხეული მასა; 6. ექსპერიმენტი; 7. ლექსის სტრიქონი; 8. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 9. სხვადასხვა მოძრაობათა შეთანხმებულობის დარღვევა; 10. ერთგვარი დოღი; 11. უხეში; 12. ჭადრაკის ფიგურა; 13. შლამის თევზი; 14. იაპონელთა სამოსელი; 15. ქალის სახელი; 16. გომბეშო; 17. მდინარე კავკასიაში; 18. შოუს პიესა; 19. კლავიშებიანი საკრავი; 20. ერთ-ერთი მახარებელი; 21. ჩაკ ...; 22. დიდი ჩაქუჩი; 23. ქალაქი ბელგიაში; 24. ქინქლა; 25. ტუსაღი; 26. მთავარი სისხლძარღვი; 27. ბერძენთა მიწის ქალღმერთი; 28. ქონებიდან მიღებული რეგულარული შემოსავალი; 29. ... კლინტონი; 30. ამერიკული თვითმფრინავი; 31. ჯარი; 32. კავკასიის მთიელთა სოფელი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. იმპერატივი; 2. „სუძუკი“; 3. ვალონია; 4. „ციცქა“; 5. სინტაქსი; 6. ჟოკეი; 7. ბორჯომი; 9. „ხანუმა“; 13. ჰააგა; 17. ოქრო; 18. ირი.

თარაზულად: 1. ინგლისი; 3. ვადუცი; 8. ჟიგოლო; 10. კურიოზი; 11. გროგი; 12. ბაგიათი; 14. სტამბა; 15. ალაზანი; 16. სიონი; 19. რეგატა; 20. ვიადუკი; 21. ჭიბონი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. „ბაზელი“; 2. ანანიძე; 3. ფელამუში; 4. ორთაჭალა; 8. კალმასობა; 9. პერიკარდი; 11. ლებარდე; 12. ვაჩა; 14. ბრნო; 16. ბასტილია; 17. ბელკანტო; 19. „ნარიტა“; 21. ბუერი.

თარაზულად: 5. ვერონეზე; 6. ჩანადირი; 7. უფლისციხე; 10. სუნამო; 13. ქართლი; 15. ოჩიაური; 18. შამონი; 20. ნადალი; 22. „მირანგულა“; 23. დისკანტი; 24. „ტრავიატა“.

სპორტი

საქართველო ფიჯისთან მეორე ტაიმში დამარცხდა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

სივრცეები გაჩნდა, ლაშა ხმალაძემ კარის წინ 22-მეტრიანთან გაჭრა ხაზი, გრძელი პასით გარღვევაზე სანდრო თოდუა გაიყვანა და მან ფიჯის მეორე ლელო გაუტანა. გარდასახვა არაზუსტი იყო და ტაიმი 15:10 მოვიგეთ.

მეორე ტაიმი კარგად დავიწყეთ, მაგრამ 48-ე წუთზე ამ მატჩში მეორედ დავთმეთ ჩვენი შერკინება, ფიჯიმ ჯარიმის ნაცვლად შერკინება აიღო და ცენტრმა ვატუმბუამ პირველი დარტყმით დაცვა გაარღვია. მასპინძლებმა გარდასახვით ლიდერობა დაიბრუნეს და მალე უპირატესობა ჯარიმით გაზარდეს.



ბორჯღალოსნებმა თამაშის აჩქარება ცადეს და ცოტა ხნით ტერიტორიული უპირატესობა მოიპოვეს, მაგრამ დასკვნით 20 წუთში დაღლილობამ იჩინა თავი და კიდევ 3 ლელო გავუშვით. პირველ ჯერზე ნანდოლოს შეჩერებას 3 მცველი დაჭირდა და შეცვლაზე შესული ლომანი ვეღარავინ დაიჭირა. 78-ე წუთზე ლომანიმ სწრაფი კონტრშეტევისას ბურთი ნანგუსასთან გაითამაშა და დუბლი შეასრულა, ხოლო ბოლოს სემი რანდრანდრამ სანაკრებო დებიუტი ლელოთი აღნიშნა და საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 37:15.

წყნარი ოკეანის თასის მეორე რაუნდის მეორე მატჩში, ერთი კვირის წინ, საქართველოსგან ძლეულმა ტონგამ სამოას 28:18 აჯობა.

რაც შეეხება ბორჯღალოსნებს, ისინი ფიჯიდან იაპონიაში გადაინაცვლებენ და 23 ივნისს მასპინძელ იაპონიასთან ტესტ-მატჩს გამართავენ. შეხვედრა ტოიოტაში ჩვენი დროით 9:45 საათზე დაიწყება.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი

18 ივნისისთვის

ვერძი – წინააღმდეგობრივი დღეა. დილით მშვიდად ხართ, პროფესიულ პრობლემებს სწრაფად აგვარებთ. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა. არაფერი გაწუხებთ. შემოქმედებით პოტენციალს საკმაოდ ფართოდ ავლენთ. **ტყუპები** – სამოგზაუროდ წასასვლელად, ფიზიკური დატვირთვისათვის ეს დღე შესაფერისია. ახალი ნაცნობობა, სავარაუდოდ, სერიოზულ ურთიერთობაში გადაიზრდება. **კირჩხიბი** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ, ნურაფერს დაგეგმავთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ლომი** – მზარდი სასიცოცხლო პოტენციალი გარშემომყოფებთან ურთიერთობაზე დადებითად აისახება. საყიდლებზე წასასვლელად მშვენიერი პერიოდია. **ქალწული** – დღის პირველი ნახევარი მეტ-ნაკლებად იღბლიანია. საღამოს ერიდეთ სტრესულ სიტუაციებს. **სასწორი** – მოტყუების ალბათობა დიდია. ამიტომ იოლად არავის მიენდოთ. **ღრიანკალი** – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება გამართლებულია. მოახდინეთ ენერგიის კონცენტრირება. **მშვილდოსანი** – დოკუმენტების გასაფორმებლად იღბლიანი დღეა. ნებისმიერ საქმეს უპრობლემოდ აგვარებთ. **თხის რქა** – საქმიანი და პირადი ხასიათის შეხვედრები წარმატებით ჩაივლის. უკმაყოფილო არ დარჩებით. **მერწყული** – ოჯახში წვრილმანი პრობლემების მოგვარება გიწევთ. დროა, ფასეულობების გადაფასებაზე იფიქროთ. **თევზები** – საყიდლებზე წასვლა გაგახალისებთ. ნავაჭრი საკმაოდ შთამბეჭდავი იქნება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ზურა დოიჯაშვილი მადლობას იხდის

მომღერალი ზურა დოიჯაშვილი თავის გულშემატკივრებს მადლობას უხდის. ჟურნალისტმა ბესო ჩუბინიძემ სოციალურ ქსელში გაავრცელა ვიდეო, სადაც ინტერვიუ მომღერალთან საავადმყოფოშია ჩაწერილი.

ზურა დოიჯაშვილი რამდენიმე დღის წინ გულის შეტევით საავადმყოფოში მოხვდა. გულის შეტევამდე ხელოვანი ბანკის ვალის გამო ნერვიულობამ მიიყვანა.

ზურა დოიჯაშვილი:

– გენაცვალეთ თქვენ, ძალიან დიდი მადლობა ყველას ასეთი სიყვარულისთვის, რომელიც ჩემ მიმართ გამოიჩინეთ. დავდგები ფეხზე და აუცილებლად ყველას მოგეფერებით. ყველა ოჯახში სიყვარული და ჯანმრთელობა მინდა იყოს. ერთმანეთს გავუფრთხილდეთ, არაფერი არ არის ჩვენი ცხოვრება წამია, ამიტომ მოვეფეროთ ერთმანეთს, ერთი პატარა ერი ვართ და ვიყოთ ერთად.

ავთო აბესლამიძე ყაზახური ვოისის გამარჯვებულია

„იქს ფაქტორი 2016“-ის გამარჯვებულმა ავთო აბესლამიძემ ყაზახური ვოისის გრანპრი მოიგო.

საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსში 20 ქვეყნის მომღერალი მონაწილეობდა. საქართველოს წარმომადგენელმა პირველობა არავის დაუთმო და 131 ქულით ვოისის გამარჯვებული გახდა.

ავთო აბესლამიძეს ყაზახური ვოისის მთავარ პრიზთან ერთად სოლიდური ფულადი ჯილდოც გადაეცა.

მიშა გომიაშვილს მიხეილ გიორგაძის გადადგომა სურს



მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი მიშა გომიაშვილი კულტურის მინისტრ მიხეილ გიორგაძის გადადგომის მომხრეა:

– ძალიან სასიამოვნო ინფორმაცია მოვისმინე... რომ მინისტრის სავარძელს დაემშვიდობება საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი გიორგაძე.

იქნებ გვეშველოს და ეს პოსტი ღირსეულმა ადამიანმა დაიკავოს, რომლისთვისაც კულტურა არ იქნება ხილის ნაირსახეობა, როგორიც არის ხურმა.

ნიკოლოზ რაჭველი საჭადრაკო ოლიმპიადის კეთილი ნების ელჩია

ბათუმში 23 ივნისიდან 42-ე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა დაიწყება.

დირიჟორი და კომპოზიტორი ნიკოლოზ რაჭველი ამ ოლიმპიადის კეთილი ნების ელჩი იქნება.

სასიხარულო ინფორმაცია ნიკოლოზ რაჭველმა თავად გაავრცელა:

– მომენიჭა 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის კეთილი ნების ელჩის წოდება! გაეროს შემდეგ ეს მეორე ელჩობაა ჩემს ბიოგრაფიაში. მიხარია.

ნინო სურგულაძე ბევრი სიკეთით სავსე სამყაროში ცხოვრებაზე ოცნებობს

ოპერის მომღერალი ნინო სურგულაძე ოცნებობს ისეთ სამყაროზე, სადაც ბევრი სიკეთე, ერთგულება, ბედნიერება, ღიმილი, სიხარული და თანაგრძნობა იქნება:

– მინდა, ისეთი სამყარო, სადაც ბევრი სიკეთეა... ერთგულება... ბედნიერება... ღიმილი... სიხარული... თანადგომა... თანაგრძნობა... ემპათია... ნათელი დღეები და ბნელი ღამეები კი ვარსკვლავებით სავსეა... თანასწორი სამყარო! და არა დაუნდობელი... უკიდეგანო სამყაროს უმცირესი ნაწილი, რომელსაც სიკეთისა და სიყვარულის მარცვალი ერქმევა...

ზედმეტად ტკბილია ეს ყოველივე? მარილს ბოლო-ბოლო ბუნება მოაყრის, სადაც ყველაფერი ერთად იყრის თავს... მშვიდიც და სტიქიურიც... მაგრამ ისე ჰარმონიულად, რომ ხშირად გაიფიქრებ, მაუგლი მინდა ვიყოო...

ძალიან მინდა ეს ყოველივე და რა ვქნა? ასე ოცნებობს ჩემში პატარა დიდი გოგო დიდი თვალებით და გულში იკრავს თავისივე მოგონილ სამყაროს, სადაც ყველაფერს ზღაპრული სურნელი აქვს. სადაც ყველა ბედნიერია და სადაც მხოლოდ ტირიფები ტირიან... სადაც სიტყვები არ არის საჭირო და ისედაც გრძნობენ... სადაც ცა მიწის სწორია.

სოფელ ჭიხარულაში მდებარე წმინდა გიორგის ეკლესიას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიხარულაში მდებარე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორ ნიკოლოზ ანთიძის შესაბამისი ბრძანებით კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

ეკლესია XIX საუკუნის შუა ხანებშია აგებული, სავარაუდოდ, ძველი ეკლესიის ადგილას. დგას ერთსაფეხურიან ცოკოლზე. ფასადი რუხი და მოყვითალო ბაზალტის თლილი ქვისაა. ალაგ-ალაგ წითელი ქვაც ურევია წყობაში. სარკმლები თაღოვანია. დასავლეთის არქიტრავულ შესასვლელს მძლავრი არქივოლტი ამკობს, გვერდებზე კი ლივლები მიუყვება. დასავლეთის ფასადზე მარცხენა ფლანგზე თეთრ ქვაში ამოკვეთილია სამშენებლო წარწერა 1862-63 წლები. შესასვლელის თავზე ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა. იგივე გამოსახულება მეორდება აღმოსავლეთ სარკმლის თავზეც. აქვს ჩაკვეთილი სიბრტყიანი თარო კარნიზი.

დარბაზი გადახურულია კამარით. აღმოსავლეთით ორსაფეხურიან სატრიუმფო თაღიანი ნახევარწრიული აბსიდია, მის ჩრდილო გვერდზე კი თაღიანი ნიშაა.

ნინი ონიანი ჭორიკნებს აფრთხილებს

მოდელი და მსახიობი ნინი ონიანი მუდმივად საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნას მიჩვეულია და არც ჭორიკნების მიერ მოგონილ ცრუ ინფორმაციებზე აქვს რეაქცია, თუმცა ის ცნობისმოყვარეებს მაინც აფრთხილებს:

– როგორც ვხედავი, ვიღაც-ვიღაცები ძალიან სარგებლობენ იმით, რომ ჭორაობა და სხვის ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფა არ მიყვარს. ეს ყველამ იცის და სათავისოდ იყენებს, როგორც ჩანს, მდაბიო ხალხი!

ენა არ ამომადგმევინოთ, თორემ ნახევარი საქართველო გასაქცევი გახდებით აქედან! კრეტინები ესენი!

ბარათაშვილის ხიდზე უხამსი ნახატები გაჩენილა

რამდენიმე დღის წინ თბილისის ცენტრში მხატვრების მიერ ბარათაშვილის ხიდის მოხატვა დასრულდა და ის საზეიმოდ თბილისის მერმა კახა კალაძემ გახსნა.

სხვადასხვა ხელოვანის მიერ შესრულებულ ნამუშევრებში რამდენიმე ამორალური და უხამსი ნახატი აღმოჩნდა, რომლებმაც საზოგადოების გაღიზიანება გამოიწვია. რიგითმა მოქალაქეებმა ამ ნამუშევრებს პორნოგრაფია, სოდომის ცოდვა და ლგბტ პროპაგანდა უწოდეს. რამდენიმე მათგანმა სურვილი გამოთქვა, რომ თბილისისთვის შეუფერებელი ნახატები გადაეღება და ეს პირობა შეასრულა. ბარათაშვილის ხიდი, სადაც უამრავი მოზარდი თუ პატარა ბავშვი გადაადგილდება, შეუფერებელი ნახატებისგან თავისუფალია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალეიდოსკოპი

პენსიონერმა მეტროში ქალს ხელი დაარტყა, ვინაიდან მან ადგილი არ დაუთმო

ჩინეთში მეტროს ვაგონში პენსიონერი ქალს, რომელმაც მისთვის ადგილის დათმობაზე უარი განუცხადა, ეჩხუბა. აღნიშნული შემთხვევა სხვა მგზავრებმა ვიდეოზე გადაიღეს და შემდეგ ინტერნეტში განათავსეს.

ინციდენტი ჩინეთის ქალაქ უხანის მეტროს მეექვსე ხაზზე პიკის საათის დროს მოხდა. პენსიონერი ველოსიპედით ვაგონში დაახლოვებით დილის 09:20 საათზე შევიდა და ხალხით სავსე ვაგონში დასაჯდომ ადგილს დაუწყო ძებნა. მან მჯდომარე ქალი შენიშნა და სთხოვა, რომ მისთვის ადგილი დაეთმო, მაგრამ მან უარით უპასუხა. ამის შემდეგ ხანდაზმულმა მამაკაცმა მას შეურაცხყოფის მიყენება დაუწყო და ბოლოს სახეში ხელიც კი დაარტყა.

თვითმხილველთა თქმით, ამის შემდეგ 40 წლის ქალსა და პენსიონერს შორის ჩხუბი გაჩაღდა. ქალმა მამაკაცი სხვა მგზავრების მიმართ უპატივცემულობაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ ის საკუთარი ასაკით ბოროტად სარგებლობდა.

ვიდეოჩანაწერის ინტერნეტში გამოჩენის შემდეგ ინტერნეტმომხმარებლების აზრი ორად გაიყო. ერთნი აღშფოთებას გამოხატავდნენ პენსიონერის საქციელის გამო, მეორენი კი მას იცავდნენ და ყოველმხრივ ამართლებდნენ.

ლატარიის გამარჯვებული მოგების მისაღებად ნიღბით მივიდა

იამაიკაზე ქალი, რომელმაც ლატარიაში 180 მილიონი იამაიკური დოლარი მოიგო, პრესკონფერენციაზე ნიღბით გამოცხადდა.

ის ასეთი საშუალებით ცდილობს საკუთარი ანონიმურობის შენარჩუნებას. ლატარიის ორგანიზატორი კომპანიის მტკიცებით, ნიღაბი ინტერნეტის დახმარებით შეარჩიეს.

ქალი ცხოვრობს და მუშაობს სენტ-ჯეიმსში, მას ჰყავს ბავშვები. მისი მტკიცებით, მან ლატარიის ბილეთების შეძენა დაახლოებით ექვსი თვის წინ დაიწყო. მისი თქმით, მას ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ ადრე თუ გვიან ის დიდ თანხას მოიგებდა და რომელიც მას ვალების გასტუმრებაში დაეხმარებოდა.

მიუხედავად მსხვილი მოგებისა, ქალი სამსახურისთვის თავის დანებებას არ აპირებს. ის მოგებული თანხის ნაწილის კარიბის ზღვის აუზში კრუიზში დახარჯვას აპირებს, ხოლო უკან დაბრუნების შემდეგ თავის სამუშაო ადგილს დაუბრუნდება. დანარჩენი თანხის ინვესტირებას აპირებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

18 ივნისისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 2.4602
- ევრო — 2.8521
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2684
- 100 რუსული რუბლი — 3.9193

ამინდის პროგნოზი 18 ივნისისთვის

კოსტა რიკა-სერბეთი 0:1

სამარა. კოსმოს არენა

0:1 კოლაროვი (56)

კოსტა რიკა: ნავასი, გონსალესი, დუარტე, აკოსტა, გამბოა, კალვო, გუზმანი (კოლინდრესი 73), პერესი, ბორხესი, რუისი, ვენეგასი (ბოლანოსი 60), ურენი (კემბელი 66)

სერბეთი: სტოიკოვიჩი, ივანოვიჩი, მილენკოვიჩი, ტოშიჩი, კორალოვი, მატიჩი, მილიევოიევიჩი, მილინკოვიჩ-სავიჩი, ტადიჩი (რუკავინა 82), ლიაიჩი (კოსტიჩი 70), მიტროვიჩი (პრიოვიჩი 89)

მხიარული თამაში გამოდგა. ბურთი მოედნის ცენტრში თითქმის არ ჩერდებოდა, მაგრამ ხიფათი ნაკლებად იქმნებოდა რომელიმე გუნდის კართან. სტატისტიკური მაჩვენებლითაც თანაბარი თამაში იყო, მაგრამ მოიგო გუნდმა, რომელმაც მეტოქის შეცდომა გამოიყენა.

ეს ერთადერთი გოლი კი ალეკსანდრ კორალოვის დარტყმას მოჰყვა. სერბმა ჩინებულად შეასრულა საჯარიმო, რომელიც აუღებელ კატეგორიას არ მიეკუთვნებოდა, მაგრამ კეილორ ნავასი არ ელოდა, თუ კორალოვი იმ წერტილიდან კარში დაარტყამდა და სწორედ ეს არ აპატია სერბმა.

ვერ ვიტყვით, რომ რომელიმე გუნდმა განგვაცვიფრა. ალბათ ეს იმის ბრალი უფროა, რომ თუნდაც ფრედ დამთავრების შემთხვევაში ორივე გუნდი კიდევ იტოვებდა შანსს ფლეი ოფში გასასვლელად. ამიტომ ზედმეტად არ რისკავდნენ. კოსტარიკელებიც მხოლოდ მაშინ უფრო გააქტიურდნენ, როცა მატჩის დამთავრებამდე ძალიან ცოტა დრო რჩებოდა. უაზროდ ბურთის ჩაკიდებებით კი სერბებს შეცდომა ვერ დააშვებინეს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ალეკსანდრ კორალოვი

სერბთა კაპიტანი დაცვაში ჩინებულად ირჯებოდა, შეტევებში ჩართვასაც არ ერიდებოდა, ამასთან, გამარჯვების გოლიც გაიტანა.

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

მსოფლიოს ჩემპიონმა წარუმატებელი სტარტი აიღო

გერმანია – მექსიკა 0:1

მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა გერმანიამ მიმდინარე მუნდიალზე წარუმატებელი სტარტი აიღო. იოაჰიმ ლიოვის გუნდი

პირველივე ტურში ხელმოცარული დარჩა მექსიკის წინააღმდეგ. მექსიკელებმა, რომლებთანაც თამაში ყველა გუნდისთვის პრობლემაა, კარგი ფეხბურთი აჩვენეს.

შეხვედრის ბედი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა, რომელიც 35-ე წუთზე გავიდა. ხუან კარლოს ოსორიოს გუნდმა, რომელიც კონტრშეტევებზე დიდებულად მოქმედებდა, ასეთი სწრაფი იერიში შედეგიანად დაასრულა. ირვინგ ლოსანო ადვილად გაუსწორდა გერმანელთა დაცვის ხაზსა და კიპერს.

მეორე ნახევარში მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონებს მცდელობა არ დაუკლიათ და რამდენიმე რეალური საგოლე მომენტიც შექმნეს, მაგრამ მთლიანობაში მექსიკა თავს დამაჯერებლად იცავდა.

საბოლოოდ გერმანია დამარცხდა და ტურნირზე კიდევ ერთი მოულოდნელობა დაფიქსირდა.

იუმორი

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– როდესაც ვინმე მეუბნება: „სასიამოვნოა თქვენი გაცნობა“, მე ყოველთვის ვპასუხობ: „ნაჩქარევ დასკვნას ნუ გააკეთებთ!“

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– საბოლოოდ დავასკვენი, რომ დრო ქალივით არის.

– ეგ როგორ?

– ზოგჯერ მიიპარება, ზოგჯერ მიქრის, ზოგჯერ კი მის მოკვლას ცდილობ.

•••

მოხუცი ქალი იარაღის მაღაზიის გამყიდველს ეკითხება:

– 45-კალიბრიანი ლაზერისსამიზნიანი ბერეტა გააქვთ?

– თავის დასაცავად გინდა, ბებო?

– არა, თავის დასაცავად ადვოკატს ვიქირავებ!

•••

აივანზე მდგარი ცოლი ქმარს ეუბნება:

– შეხედე, აი, იმ კორპუსის მეხუთე სართულზე კოცნაობენ.

– მაგარია, აი, ქალიც რომ ჰყოლოდათ...

•••

ერთი ნაცნობი მეორეს ეუბნება:

– გეტყობა, სახლში ინტერნეტი გაქვს ჩართული.

– როგორ მიხვდი?

– შენი თვალებით.

– ახლა უფრო ჭკვიანური გამოხედვა მაქვს?

– არა, გამოყეყეჩებულის...

•••

ფირმაში ნიღბიანი და შეიარაღებული ადამიანები შეიჭრნენ და ერთ-ერთმა დაიყვირა:

– ჩქარა იატაკზე დაწექით, ეს ძარცვაა!

იატაკზე დავარდნილმა მთავარმა ბუღალტერმა შვებით ამოისუნთქა:

– მადლობა ღმერთს, საგადასახადო პოლიცია მეგონა...

•••

მამაკაცი გოგონას ეკითხება:

– გოგონი, რამდენი წლის ხართ?

– რამდენს მომცემდით?

– მთავარი ისაა, მოსამართლე რამდენს მომცემს...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

ლესბოსელებმა ტაქსის მძღოლი დისკრიმინაციაში დაადანაშაულეს

ორმა ნიუიორკელმა ქალმა ტაქსის მძღოლი დისკრიმინაციაში მას შემდეგ დაადანაშაულა, რაც მან ისინი მანქანიდან ჩამოსვა მის უკანა სავარძელზე გაჩაღებული ხვევნა-კოცნისთვის.

26 წლის ალექს იოვინი და 24 წლის ემმა პიჩლი ტაქსით ბრუკლინიდან ბრუნდებოდნენ, სადაც ბარში მეგობრის დაბადების დღეზე იმყოფებოდნენ. ქალების მტკიცებით, მათ მხოლოდ ერთხელ აკოცეს ერთმანეთს და უმსგავსოდ არ იქცეოდნენ. წყვილის თქმით, კოცნიდან რამდენიმე წუთის შემდეგ მძღოლმა ტაქსი გააჩერა, მანქანის უკანა კართან მივიდა და მათ გადმოსვლა უბრძანა. ტაქსის მძღოლის მტკიცებით, ქალების ქცევა იყო უკანონო და უმსგავსობა.

– ჩვენ მთელი მგზავრობის განმავლობაში ვსაუბრობდით. ერთ მომენტში კი ერთმანეთს ვაკოცეთ. სულ ეს იყო, რაც ჩვენ შორის მოხდა. ჩვენ გვესმის იმ უხერხულობის, რაც იმ ადამიანებს ექმნებათ, რომლებიც იმ ადამიანების გვერდით აღმოჩნდებიან, რომლებიც ერთმანეთს კოცნიან, მაგრამ ჩვენ შემთხვევაში ასეთი სიტუაცია არ ყოფილა, – განაცხადა იოვინმა.

ტაქსის მძღოლი აღმოჩნდა ახმედ ელ ბუტარი, რომელიც ამ თანამდებობაზე 2014 წლიდან მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში მას უამრავი მადლობა აქვს მიღებული მომხმარებლებისგან შესანიშნავი მომსახურების გამო. ამ საქმის გამოძიების პერიოდში მძღოლს მისი ლიცენზიის მოქმედება შეუჩერდა.

ზვიგენი ზვიგენს თავს დაესხა

მყვინთავების თვალწინ ერთი ზვიგენი მეორეს თავს დაესხა და სხეულის ნაწილი მოაკვნიტა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეორგოლი ერთ-ერთმა საინფორმაციო პორტალმა გამოაქვეყნა.

ვიდეო მყვინთავმა ადამ მალსკიმ სამხრეთ ავსტრალიის სანაპიროსთან, ნეპტუნის კუნძულების მახლობლად გადაიღო. მისი თქმით, მტაცებელი თევზი ნავის მახლობლად ჩაგდებულ სატყუარასთან მიცურდა, წამის შემდეგ კი მოულოდნელად მეორე ზვიგენი გამოჩნდა და მას თავს დაესხა.

– ყვინთვის ინსტრუქტორს და ხომალდის კაპიტანს ვკითხე, რა მოხდებოდა, თუ პატარა ზვიგენი დიდის ხელს შეუშლიდა, მან მიპასუხა, რომ დიდი პატარას გააგდებდა და რამდენიმე წამში მათი დაპირისპირების თვითმხილველები გავხდით, – განაცხადა მალსკიმ. მისმა თანამოსაუბრეებმა კი აღნიშნეს, რომ ცხოვრებაში მსგავსი არაფერი უნახავთ.

ზვიგენების შეტაკების შემდეგ მტაცებელმა, სახელად გილბერტმა. რომლის სიგრძე 4,8 მეტრს აღწევდა, ნავის მახლობლად ცურვა განაგრძო, ხოლო პატარა ზვიგენი აღარ გამოჩენილა.

აღსანიშნავია, რომ ზვიგენებში ზოგჯერ კანიბალიზმის შემთხვევებს აქვს ადგილი, თუმცა ამის გადაღების შესაძლებლობა ადამიანებს იშვიათად ეძლევათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



შვეულად: 1. ... ჩოხის ქვეშ ჩასაცმელი; 2. ვიტამინი ბ; 3. ეკლესიას მიდგმული საგვარეულო სასაფლაო; 5. საგნებით ჩახერგილი ქუჩა; 7. ერთგვარი მაქმანი; 9. წელიწადის დღეების აღრიცხვის სისტემა; 13. სპილენძის თეფშები (საკრავი); 15. თუთისებრთა ოჯახის მცენარე; 16. მშვენიერების მოტრფიალე; 18. შიკრიკი.

თარაზულად: 4. რამე საქმიანობის დამწყები; 6. საცეკვაო მოედანი; 8. ორი საპირისპირო შესაძლებლობიდან ერთ-ერთის არჩევის აუცილებლობა; 10. საიდუმლო პოლიტიკური დავალებით გაგზავნილი პირი; 11. გამოყვანილი ღორის ხორცი; 12. თოვლის ჯიქი; 14. ჭადრაკის „მუზა“; 17. სამოთხე; 19. გუთნის ნაწილი; 20. ქალაქი ბრიტანეთში; 21. ჭრილობა; 22. ადამიანის სიკვდილით დასასჯელი მანქანა; 23. სსრკ-ში ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის წევრი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ